ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვარი 1939 წ. № 153 პარიზი

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
JANVIER 1939 — № 153
Paris

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—უკრაინის ამოცანა.
სან-მანი—«შრომის დისციპლინა».
ბ. ა.—ტფილისის ქუჩების სახელწოდებანი.
ი. სალაყაია—ევროპა დიდი ომის შემდეგ.
რ. ივანიცკი-ინგილო—ვინ არს მსაჯული?
ბ. გელ-ა—იაკობ გოგებაშვილი.
გერმანული ჟურნ. პრომეთეს მოძრაობისთვის
პ. პეტერსი პრ. თაყაიშვილის წიგნის შესახებ.
ემილ ვანდერველდე.
ა. ზ.—გენ. ზაქარია ბაქრაძე.
მარიამ გურჯიძე.
წერილი რედაქციის მიმართ. და სხვ.

## უ კ რ ა ი ნ ი ს   ა მ ო ც ა ნ ა

უკანასკნელ მეთაურში, სადაც გასული წლის დიდი ამბების ერთგვარი ჯამი გავაკეთეთ და თან პერსპექტივებიც გავითვალისწინეთ ახალი წლისათვის, ჩვენ სათანადო ადგილი დავუთმეთ უკრაინის ამოცანას, რადგან—ვამბობდით იქვე—«უკრაინის განთავისუფლება უთუოდ საბჭოთა კავშირის დარღვევას გამოიწვევს. მაშასადამე, დანარჩენ ჩაგრულ ერთა განთავისუფლებასთქო». ჩვენ ისიცა ვსთქვით გარკვევით, რომ «უკრაინის კითხვა მხოლოდ საბჭოთა ფარგლებში შეიძლება დაისვას დღეს მთელის თავის სიგრძე-სიგანით, თანახმად ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა, რომელიც ქვეყნის სრულს დამოუკიდებლობაში ჰპოვებს თავის განხორციელებას».

ამ ორი დებულებიდან ერთი მარტივია და თავის თავად გასაგები. გეოგრაფიულად ველიკოროსიასა და კავკასიას შუა მდებარე, მოსახლეობის სიმრავლით მეორე უდიდესი წევრი საბჭოთა კავშირისა და ეკონომიურად უაღრესად მდიდარი უკრაინა, თუ ის გამოეთიშა საბჭოთა კავშირს, განსაკუთრებით ხელსაყრელია კავკასიის ერებისთვის. ამით აიხსნებოდა, სხვათა შორის, უკრაინა-კავკასიის შეთანხმება მეგობრობისა და ურთიერთ თანამშრომლობისა, რომელიც დაიწერა 1925 წ. უკრაინის გამოხიზნულ მთავრობასა და «სამთა საბჭოს» შორის (საქართველო, აზერბაიჯანი, მთა).

საყურადღებოა, რომ უკრაინის საკითხის გვერდით კაზაკთა საკითხიც აქტუალური ხდება დღეს. კარგად გვახსოვს, რა ზღვა სისხლი დაღვარეს კაზაკებმა ბოლშევიკებთან ბრძოლაში, და თუ ამ მსხვერპლმა ვერ გამოიღო შესაფერი ნაყოფი, ეს მიეწერებოდა იმ გარემოებას, რომ დონი და ყუბანი თეთრი რუსების სათარეშო მთლიანად იქცა და თვით კაზაკთა გენერლებმა ბოროტად მოიხმარეს მათი ნდობა. მათ ხომ თავისი დამოუკიდებელი მართველობა გაიჩინეს «კრუგის» თუ «რადას» სახით დონსა და ყუბანში. და აი დღეს კაზაკთა ემიგრაცია სწორედ ამ ახლო წარსულს ემყარება და ხმას იმაღლებს. ჩვენ იმის მოწმეც კი გავხდით, რომ თვით გენერლები—ატამანები პოპოვი და გრაბე ამოქმედნენ! თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კაზაკები ადგილობრივ მეტად მტრულად არიან განწყობილი მჩაგვრელი მოსკოვისადმი, ადვილად მისახვედრია, რა უნდა მოჰყვეს მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამას გეოგრაფიული მოხაზულობაც გვეუბნება: მარცხნივ უკრაინა შავი ზღვიდან, მარჯვნივ დონი და ყალმუხთა მხარე კასპიის ზღვამდე ერთბაშად სწყვეტს კავკასიას ჩრდილოეთიდან და მით ბოლო ელება ველიკოროსიის საშიშროებას მისთვის.

მაშასადამე, ჩვენ სიხარულით, აღტაცებით ვეგებებით უკრაინის საკითხის ასეთი რიხით წამოჭრას საერთაშორისო ასპარეზზედ და გვაქვს კიდეც ჩვენი აზრი ამ საგანზე, რომელიც ზევით გამოვსთქვით მეორე დებულებაში. ეს აზრი აქვს აგრედვე

«პრომეთეს» საერთო ფრონტს, რომელშიც შედიან კავკასია, უკრაინა, თურქესტანი, იდელურალი, ყირიმი და სხვა ჩაგრული ქვეყნები საბჭოთა კავშირისა.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავსტოვოთ ის ფაქტი, რომ დღეს ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ «დიდი და სობორნი უკრაინაზე», რომელშიც განზრახულია, შევიდენ, გარდა საბჭოთა უკრაინისა, გალიცია, ბუკოვინა და კარპატის უკრაინა. ასეთი ამოცანის დასახვა და მისთვის ბრძოლა, უნდა გამოვტყდეთ, დიდ ხიფათს უმზადებს თვით უკრაინელებს, პირველ რიგში, და შემდეგ მათ მოკავშირეთ პრომეთეს ფრონტიდან. მართლაც, ამ ფრონტში ირიცხება *საბჭოთა უკრაინა*, რომელიც თავის თავად დიდ სახელმწიფოს წარმოადგენს, და არა-უკრაინელთა უმცირესობანი პოლონეთში, რუმინიაში, ჩეხო-სლოვაკიაში. თითქო არ გვყოფნის ერთი მტერი მოსკოვი და ეხლა ეს სამი სახელმწიფოც უნდა გადავიმტეროთ! ჩვენ ვიცით, ვინ იქნება ასეთი დამღუპველი ტაქტიკით დაინტერესებული: მოსკოვი, რა თქმა უნდა, რომელიც არ დაერიდება არავითარ საშუალებას, რომ გაგვთიშოს და დაგვშალოს. როგორც მთლიანი ფრონტი, მის. *მხოლოდ მის* წინაამდეგ დაარსებული.

ჩვენ გვესმის, რასაკვირველია, რომ ეს კითხვა ერთობ სათუთია. მწვავეც ჩვენი მეგობარ უკრაინელებისათვის, მაგრამ მათ უნდა აიღონ მაგალითი, თუ გინდ, ვიცე-მარშალ ვასილი მუდრისაგან, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა ვარშავის სეიმში, რომ ჩვენ გვინდა ჩვენი მოძმეთა საკითხი «თვით პოლონეთის სახელმწიფო ჩარჩოებში» მოვაგვაროთ. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ გალიციის უკრაინელნი პოლონეთის მოქალაქენი არიან, აქედან მათი საკითხიც პოლონეთის *შინაური* საქმე. აქედან ცხადია, რომ ჩვენ, პრომეთეს ფრონტში შემავალთ, ხელი არა გვაქვს მასთან.

სახელმწიფო მოღვაწის პირველი მოვალეობაა რეალისტური პოლიტიკა აწარმოვოს, და ეს კი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენმა თანამებრძოლმა უკრაინელებმა უნდა იმუშაონ საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისათვის, და დღევანდელი საერთაშორისო კონიუნქტურა თითქო საიმედო შანსებს იძლევა ამისათვის. დამოუკიდებელი უკრაინა თავის თავად ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, რომ მას ადვილად შეეძლება, შედარებით, თავის მოძმეთა შესახებ ზრუნვა მეზობლებთან უშუალო მეგობრული მოლაპარაკებით. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ჯერ თვით უფლება-მოსილი სუბიექტი იშვას—უკრაინის სახელმწიფო საბჭოთა დღევანდელ საზღვრებში—რომ მან შესძლოს მოლაპარაკება.

ჩვენ კიდევ ერთ ადგილს მოვიტანთ წინანდელი მეთაურიდან: «თავისუფალი უკრაინა თვითონვე იქნება ყელამდე დაინტერესებული, რომ მეგობრულად იცხოვროს პოლონეთთან. რადგან ხიფათი ველიკოროსიის მხრიდან დიდ და მუდმივ მზრუნველობას მოითხოვდეს იქნება მისგან». ჩვენ ხომ ვიცით გამოცდილებით, რომ თუ ძნელია თავისუფლების მოპოვება, არა ნაკლებ ძნელია მისი შენარჩუნება. ჩვენ არა გვგონია, რომ 80 მილიონიან ველიკოროსია ასე ადვილად დასთმობს უკრაინას, არ იბრძოლებს მის დასაბრუნებლად,—ასეთი რამის წარმოდგენა სრულიად შეუწყნარებელი იქნებოდა. მაშასადამე, აქვს თუ არა უკრაინელ პატრიოტს უფლება, თუ გინდ, ერთი წუთითაც დაივიწყოს ეს საშიშროება მომავალში? არა, ცხადია.

ჭეშმარიტ უკრაინელ პატრიოტს ერთად ერთი ლოღიკური დასკვნა შეუძლია გააკეთოს შექმნილ საერთაშორისო ვითარებიდან და ადგილობრივი პირობებიდან: ძლიერი პოლონეთი, როგორც თავდები უკრაინის განთავისუფლებისა და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენობის უზრუნველყოფისათვის, და წინაუკმო—ძლიერი უკრაინა, როგორც ბუფერი ველიკოროსიასა და პოლონეთს შუა. ჩვენ ხომ იმავე ფორმულას ვხმარობთ ხშირად, როცა კავკასიაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, რომელმაც იგივე როლი უნდა ითამაშოს იმავე ველიკოროსიასა და თურქეთს შუა.

მაგრამ ეს როლი მხოლოდ მაშინ გახდება ცხოველმყოფელი და რეალური, როცა მას საფუძვლად უძევს უკრაინა-პოლონეთის ურთიერთი ნდობა, მეგობრობა და ურყევი კავშირი როგორც აწმყოსა, ისე მერმისში. მხოლოდ ამ წინასწარი მოსაზრებით დაარსდა, ჩვენი აზრით, თავდაპირველად პრომეთეს საერთო ფრონტი, რომელშიაც საბჭოთა უკრაინას საპატიო ადგილი უჭირავს.

ჩვენ, ქართველები, რომელნიც უკრაინის გულწრფელი მეგობარი ვიყავით და ვართ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს მხურვალედ მოვუწოდოთ თანამებრძოლ უკრაინელებს გამართონ თავისი ხაზი და პრომეთეს დანარჩენ წევრებთან ერთად პირნათლად შეასრულონ თავისი ისტორიული მისსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## «შრომის დისციპლინა»

საბჭოთა კავშირის პრესა დიდ განგაშშია. დაწყებული «პრავდა»-იზვესტია»დან და გათავებული მიყრუებული რაიონის გაზეთით—სავსეა კომპარტიის ცეკას და საბჭოთა მთავრობის 20 და 28 დეკემბრის დადგენილებების ქება-დიდებით. კამპანია გაშლილია მთელი თავისი სიგრძე სიგანით; მორჩილთა უმდაბლესი რეზოლუციებით, საჯარო მიტინგებით და კმაყოფილი ხალხის უქვეშევრდომილესი გრძნობებით ბელადისადმი.

რაშია საქმე? რას ემსახურება ეს ახალი კამპანია და ვის წინაამდეგაა იგი მიმართული?

ფორმალურად 20-28 დეკემბრის დეკრეტები ეხებიან შრომის დისციპლინას, წარმოებასა და მასში დაბანდებულ მშრომელთა ურთიერთობის საკითხის მოწესრიგებას. პირველი შეიცავს სავალდებულო «შრომის წიგნაკების» შემოღებას ყველა დარგის მშრომელთათვის. ამ «წიგნაკის» გარეშე არც ერთი მუშა-მოსამსახურე ადგილზე არ მიიღება. იგი მუშის პასპორტია, რომელიც მას ამაგრებს განსაზღვრულ წარმოებაზე. მეორე კი წარმოადგენს იმ დამსჯელ ზომებს, რომელიც მიღებული უნდა იქნეს მუშის წინაამდეგ მის მიერ ერთი წარმოებიდან მეორეში თავის ნებით გადასვლის შემთხვევაში

ორივე დეკრეტი, მისი ავტორების განმარტებით, მიმართულია იმ «შეუგნებელ და ჩამორჩენილ ცალკეულ» მუშების წინაამდეგ, «რომლებიც ცდილობენ, რაც შეიძლება, ნაკლები იმუშაონ სახელმწიფოსათვის, ხოლო თავისთვის კი, რაც შეიძლება, ფართედ გამოიყენონ საბჭოთა შრომის წესები და კანონები» (იხ. «პრავდა» 29 დეკ. 38 წ.). ასეთი პირების «უმზგავსო საქციელი», თურმე, «სახელმწიფოს უჯდებოდა ყოველ წლიურად მილიონობით სამუშაო დღეები და მილიარდობით მანეთები» (იქვე). და აი «პროლეტარიატის დიქტატურის მთავრობამ» ახალ დრაკონულ ზომებს მიმართა არა მარტო «ფრენიების, ცუღლუტების და წამგლეჯელების» ასალაგმავად, არამედ «გაბატონებულ პროლეტარიატის» დასაბამად და წარმოებაზე მისაჯაჭვად. და ყოველივე ამას ასაბუთებენ მუშათა კლასის ინტერესებით. თურმე ნუ იტყვით, «საბჭოთა კავშირში მშრომელები მუშაობენ არა კაპიტალისტისათვის», არა ახალ ბატონ-ხელისუფლებისათვის, არამედ «თავიანთი თავისათვის». ხოლო ამ ბრიყვ პროლეტარიატს ეს ჭეშმარიტება ვერ გაუგია და «ცუღლუტობა-წამგლეჯელობას» დასდგომია. გამოდის, წარმოებაზე მუშათა მიმაგრება, უკეთესი პირობების ძიების აკრძალვა და ელემენტარულ შრომის უფლებების წართმევა თითონ მუშების ინტერესი ყოფილა. აბა, ასეთ სიბრიყვეს ვინ დაიჯერებს, თუ გინდ დამუნჯებულ და საპყრობილედ ქცეულ საბჭოთა კავშირში?

ცხადია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს უფრო ღრმა და სერიოზულ მოვლენასთან, ვინემ «ცალკეულ მუშების ფრენიობა» და დაუდევრობაა. აგერ 21 წელიწადია კომუნისტური დიქტატურა ჯიჯგნის და არბევს საბჭოთა ხალხების ეკონომიურ და სოციალურ ავლადიდებას. 21 წელიწადია ამ რბევას ხელისუფლება და მისი დაქირავებული პრესა «უდიდეს გამარჯვებებად და სოციალისტურ მიღწევებად» ნათლავდენ. სინამდვილეში კი მათი ბატონობის შედეგად ბაზრიდან გაქრა ფართო მოხმარების საგნები: ნავთი, მარილი, ასანთი, საპონი, ფართალი და სხვა. «გიგანტების» მაგიერ ხელისუფლებას შერჩა ანარქია—მოცული წარმოება, გავერანებული მეურნეობა, უგულოდ და ზარმაცად მომუშავე მშრომელთა მასები, რომელთა შრომის ნაყოფის მესაკუთრედ სახელმწიფო გამოცხადდა. ამიტომ «კომუნისტურ სამოთხეში» მუშის მისწრაფება გახდა არა მუყაითი შრომა, მისი ნაყოფიერება, არამედ მუშაობის აცდენა, დროს მოგება, რომ ისედაც გაძვალტყავებულს, სახელმწიფოსაგან პერანგ-გახდილს, რაც შეიძლება ნაკლები სარგებლობა მოეტანა. ან კი რა ინტერესი აქვს მუშას, იბეჯითოს და ოფლი ღვაროს, როდესაც მის ნაოფლარს დამქირავებელი—სახელმწიფო ისაკუთრებს და თითონ კი ნახევრად მშიერი რჩება! აი ეს ბატონყმური მდგომარეობა გახდა მუშათა კლასის «გაზარმაცების და ფრენიობის» მიზეზად; ის გადაიქცა საერთო მოვლენად და ემუქრება თვით რეჟიმის არსებობას. ეს რომ ასეა, ამას არა ერთხელ ადასტურებდენ თვით კომუნისტური გაზეთები. ჯერ კიდევ გუშინ, დეკრეტის გამოცემამდე, საბჭოთა პრესა აჭრელებული იყო ალარმისტული წერილებით, სადაც ავტორნი აცნობდენ ქვეყანას, «საბჭოთა მრეწველობაში, ტრანსპორტში და მთელ სახალხო მეურნეობაში გამეფებულ მუშათა უდისციპლინობას, სიზარმაცეს და მგლეჯაობას».

ამრიგად ხელისუფლება დადგა გამოუვალ ფაქტის წინაშე. ის იძულებულია, ან რადიკალურად შესცვალოს მუშათა მდგომარეობა, მისცეს მას თავისი შრომის ეკვივალენტი და უზრუნველყოს მისი ცხოვრების მინიმუმი, ანდა პოლიციური ზომებით ის აიძულოს, დაემორჩილოს წარმოების «ხაზეინს»—სახელმწიფოს და მშიერი კუჭით და მათხოვრული ხელფასით მისცეს მაქსიმუმი იმისა, რაც მას შეუძლია.

კომუნისტური ხელისუფლება დაადგა ამ მეორე გზას. მან შემოიღო «შრომის წიგნაკები» და მით მუშათა კლასი განსაზღვრულ წარმოებას მიამაგრა. ის ამიერიდან მოკლებულია საშვალებას უკეთესი სამუშაო პირობების ძიების, ცხოვრების გაუმჯობესების—იგი მონაა კომუნისტური სახელმწიფოს და მისი წარმოების. არავის შეუძლია ახალ სამუშაოზე მოეწყოს «შრომის წიგნაკის» წარუდგენლად. ის გამოცხადებულია «ერთ-ერთ სერიოზულ ბრძოლის საშვალებად მუშათა დენადობის» წინაამდეგ. მაგრამ წიგნაკის მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწურება,—ის ამავე დროს მუშის ატესტატია, რომელშიაც სისტემატურად იწერება ადმინისტრაციის შენიშვნები. ვაი მათ, ვისაც ცუდი ნიშნები აღმოაჩნდებათ, ვისაც ბატონის მოთხოვნილება პირნათლად არ შეუსრულებია: მათვის ახალ ადგილზე მოწყობა მოკვეთილია, ის სასიკვდილოდ განწირულია.

ამ ბატონყმურ მდგომარეობის უფრო ხაზ გასასმელად «პრავდა» სპეციალურ კომენტარიებს უძ-

ღვნის მთავრობის დადგენილებებს. ის «მუშათა კადრებს ძვირფას კაპიტალად» აცხადებს. ე. ი. მზგავსად მონური ხანის უფლებრივი პრინციპისა «კომუნისტურ სამოთხეში» მუშა—საქონელია; იგი წარმოდგენილია როგორც ნივთი, საცვლელი საგანი და არა როგორც ცოცხალი ადამიანი, თავის მოთხოვნილებებით და მისწრაფებებით. ამის შემდეგ რა გასაკვირია, ამ ნივთ-მუშას ისე მოექცენ, როგორც მანქანის უბრალო ნაწილს, თუგინდ ის «სოციალისტურ სამშობლოს მეთაურადაც» ითვლებოდეს.

კრემლის დიქტატორების ცინიზმი იქამდისაც მიდის, რომ ამ ველურ ზომებს მშრომელთა წინაამდეგ უნდათ, მიაყოლონ «შრომის კოდექსის» გაუქმება. ამას იმით ასაბუთებენ, რომ 1922 წლის «კოდექსი» გამოიყენეს «ხალხის მტრებმა იმისთვის, რომ დაამტკიცონ საბჭოთა მთავრობის, როგორც მწარმოებელის, იგივეობა კაპიტალისტებთან». თითქოს ამის დამამტკიცებელი საბუთები სხვა არ მოიპოვებოდეს საბჭოთა მეურნეობის წესებში და პრაქტიკაში! აი ამიტომ «ახალი კოდექსი უნდა იქნეს აშენებული იმ გაგებაზე, რომ საბჭოთა კავშირში არ არის დაქირავებული შრომა და, მაშასადამე არ არის წინაამდეგობა დამქირავებელსა და მუშას შორის» («პრავდა» 22 დეკემბერი).

აქ მოყვანილი დებულებების დაკანონება საბჭოთა კავშირის მშრომელ მოსახლეობას ახალი შევიწროებებით ემუქრება. და მართლაც, თუ «მუშასა და დამქირავებელს შორის წინაამდეგობა არ არის»; თუ მუშა «დამქირავებლისათვის კი არ მუშაობს, არამედ თითონ თავისთვის»,—მაშინ წინდაწინვე აღკვეთილია დამქირავებელ სახელმწიფოსადმი მოთხოვნილების წაყენება, გაფიცვის გამოცხადება. ერთი სიტყვით, ყოველგვარი ბრძოლა ხელფასის და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. ამრიგად, მუშათა კლასი ღღეიდან გამოცხადებულია კაპიტალისტის-სახელმწიფოს მონად; მას ახდილი აქვს ადამიანის ყოველგვარი უფლებები და კანონით გათანასწორებულია უბრალო ნივთთან, საქონელთან. ყოველივე ეს დასაბუთებულია «კაპიტალისტურ ურთიერთობის მოსპობით» რუსეთში.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ დღეს საბჭოთა კავშირი სახელმწიფო კაპიტალიზმის ქვეყანაა, მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით და მუშათა ბარბაროსული ექსპლოატაციით. ხოლო, თუ კრემლის ბატონები ამ სისაძაგლის დაფარვას ასეთი ფარისევლური ოინებით ცდილობენ—ეს მოწმობს, მხოლოდ, იმას, რომ მუშათა მოძრაობა მძლავრ ტალღად აგორებულა და დიქტატურის ბჭეებს დამუქრებია. ყველა ეს «ფრენიობა», «მუშათა დენადობა» და «მგლეჯელობა» ის ერთად ერთი ფორმაა დაბეჩავებულ ხალხის პროტესტის კაპიტალისტ-სახელმწიფოს წინაამდეგ, რომელიც მას კიდევ შერჩენია. ამიტომ საეჭვოა სტალინმა შესძლოს «შრომის წიგნაკებით» და ახალი კოდექსების შემთხვევით მოსიარულე და «ფრენია» მშრომელი რუსეთის დამბვა.

ერთი კი აშკარაა: საბჭოთა ხელისუფლებამ ერთხელ კიდევ ნათლად დაუმტკიცა რუს და არარუს ერებს, რომ ეს ხელისუფლება მათი მტერია, მათი სისხლის მწოველი და მათ ზურგზედ მოთარეშე. მაშასადამე მასთან ბრძოლა, მის დასამხობად დროს და საშვალებების გამონახვა მთელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესია, მისი მონობიდან გამოსვლის თავდებია.

აქეთ მიდის ცხოვრების გზა და მას კომუნისტური რუსეთიც ვერ აცდება.

სან-მანი.

## ტფილისის ქუჩების სახელწოდებანი

ქართული «კომუნისტი» (14 იან. 1939 წ.) გვაუწყებს: «ტფილისის საბჭოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ შეამოწმა ქალაქის ქუჩების სახელწოდებანი. გამოირკვა, რომ 80-მე ქუჩას სულ არ ჰქონია სახელწოდება, ხოლო დაახლოვებით 160 ქუჩას შეუფერებელი სახელები ერქვა. ამის გამო ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა ამ ქუჩებს ახალი სახელწოდება მიაკუთვნა».

საზოგადოდ ქალაქის ქუჩებს სახელად ანიჭებენ ისტორიულ მნიშვნელობის მქონე პირთა სახელებს. პირველ რიგში ყოველი ქალაქი ასეთ პირებს ირჩევს თავის ქვეყნის მოღვაწეთა შორის; ხანდისხან უცხოელის სახელსაც დაარქმევენ ამა თუ იმ ქუჩას ან მოედანს, მაგრამ ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოელის მოღვაწეობას საკაცობრიო მნიშვნელობის ხასიათი ჰქონია, ან როდესაც ამ უცხოელს რაიმე დიდი სამსახური გაუწევია იმ ქვეყნისთვის, რომელსაც ქალაქი ეკუთვნის. გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ქუჩებს არქმევენ გარდაცვალებულ მოღვაწეთა სახელებს. ამ წესს აქვს თავის გასამართლებელი საბუთი: გარდაცვალებულის მოღვაწეობა უკვე დათავებულია და ფასდება იგი, როგორც დასრულებული მოვლენა. თუ რით დაათავებს ცოცხალი ადამიანი, ამის გამოცნობა ერთობ ძნელი საქმეა; შეიძლება, რომ მან მისი დღევანდლამდე თვალსაჩინო ნაღვაწი სრულიად გააქარწყლოს ხვალინდელი უკუღმართი ნასაქმით. ასეთ შემთხვევას ხშირად ჰქონია ადგილი და უთუოდ მომავალშიაც ექნება. ამიტომ არის, რომ მოწინავე კულტურულ ქვეყნებში გაურბიან, ცოცხალ ადამიანს ძეგლი დაუდგან, ან მისი სახელი ქუჩას მიაკუთვნონ.

მაგრამ, როგორც ნათქვამია, ბრიყვებისთვის კანონი არ წერია; ბოლშევიკებისათვის წესი და კანონი ბურჟუაზიული ცრუმორწმუნეობაა, ხოლო უწესობა და უკანონობა კი საქები და საკვეხნი საქციელი.

80-მდე უსახელო ქუჩა მოუნათლავთ, 160-მდე კი გადაუნათლავთ. «კომუნისტის» მიერ მოწოდებულ ცნობაში ყველა ამ ქუჩებიდან ჩამოთვლილია მხოლოდ ცამეტი ქუჩის ახალი სახელი. ამათ შორის მხოლოდ ერთისთვის დაურქმევიათ ვიღაც «ქართველი ჩაპაევის»—კიკვიძის სახელი, დანარჩენ თოთხმეტიდან ცხრა რუსია და სამი სხვა უცხოელი. აი ეს სახელები იმ რიგის დაცვით, რომელიც «კომუნისტშია» მოყვანილი:

«ყოფილ იზმაილოვის ქუჩას მიეკუთვნა საბჭოთა

კავშირის გმირის ბაიდუკოვის სახელი, ჩოხელის ქუჩას—ბელიაკოვისა, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ქუჩა-ხეივანს—მაიაკოვსკის სახელი, ჯავის მეორე ქუჩას—კოკინაკის, ჯავის მესამე ქუჩას—მოლოკოვისა, ბოდავის მეორე ქუჩას—ვოდოპიანოვისა, იმერეთის მესამე ქუჩას—ბაბუშკინისა და კულტურის ქუჩას—გრომოვის სახელი. ვინაიდან შირშოვის სახელობისა ორი ქუჩა აღმოჩნდა, ერთ მათგან მიეკუთვნა «ქართველი ჩაპაევის»—კიკვიძის სახელი, ახალ ქუჩას ლენინის რაიონში მიეკუთვნა ჩაპაევის სახელი, ყოფილ ტაგიზადეს ქუჩას მიეკუთვნა ფირდოუსის სახელი, ჩიხლაძის შესახვევს—კაშენისა, ყოფილ რთველაძის ქუჩას—ხოზე დიასის სახელი.»

ყველა აქ ჩამოთვლილებიდან მხოლოდ ერთი სახელია, რომელიც მართლაც არის პატივისა და ყურადღების ღირსი,—ეს არის სპარსეთის დიდი მწერალი ფირდოუსი. დანარჩენებიდან რომელს რა ღვაწლი მიუძღვის ისეთი, რომ საქართველოს დედა ქალაქის ქუჩები ატარებდენ მათ სახელს? ყველა ამ ბაიდუკოვ-კოკინაკ-ბაბუშკინებს შეიძლება კიდევ მიუძღოდეს რაიმე «ღვაწლი»(!) რუსეთის წინაშე, მაგრამ ქართველ ხალხს რომელმა მათგანმა რა შემატა? რომელი სულიერი ან ნივთიერი საზრდო მისცა მას? რა სამსახური გაუწია საქართველოს და რომელი ღვაწლი დადო ქართველ ერს? პირიქით უბედურებისა და გაწამების მეტი არა იცის რა ქართველმა ერმა ამ რუს ბოლშევიკებისაგან. ერთ შესახვევისთვის ფრანგ კომუნისტის—კაშენის—სახელიც კი დაურქმევიათ. კაშენი ხომ იმ მოსკოვის აგენტია, რომელიც ქართველი ერის სულთამხუთავი და დაუძინებელი მტერია; მას არა ერთხელ გაულაშქრებია ქართველი ერის კანონიერ მისწრაფებათა წინაამდეგ, არა ერთხელ დაუგმია ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა მოსკოვის წინაამდეგ; ის უწევს სამსახურს მოსკოვს და ებრძვის ქართველ ხალხს. და ასეთი პიროვნების სახელით საქართველოს დედა ქალაქის ქუჩის მონათვლა განა არ არის სასტიკი დაცინვა ქართველ ერსა და მის წმიდათა წმიდაზე?..

დაცინვაზე უფრო მეტი და უარესია ჩვენი დედა ქალაქის ქუჩებისთვის ერთავად რუსული სახელების დარქმევა (ორჯონიკიძეც კი არ დაუნდვიათ და მისი სახელი მაიკოვსკის სახელით შეუცვლიათ). მოსკოვის ტფილისელმა აგენტებმა ვერ შესძლეს ჩვენში დედა ქალაქის ქართული შინაარსის აღმოფხვრა, ვერ მოკლეს მისი ქართული სული; ამით გაბოაზებულთ განუზრახავთ, გარეგნულად მაინც გაარუსონ ქალაქი და ამავე დროს გული მოუკლან თავისუფლებისათვის თავგამოდებულად მებრძოლ ქართველ ხალხს ბაბუშკინ-მაბუშკინების სახელების თვალში სვეტად ჩათხრით.

ბ. ა.

## ევროპა დიდი ომის შემდეგ

### II.

რუსეთიც ერთა ლიგის გარეშე დარჩა, ხოლო დარჩა თავის ნებით, ის არც ვერსალის ხელშეკრულებას სცნობდა, არც ერთა ლიგის ფერხულში ჩასაბმელად ემზადებოდა. პირველს ის სთვლიდა ბურჟუაზიის უსამართლობის და მისი გახრწნილების გამოსახულებად, მორე კი მიაჩნდა ყაჩაღთა კავშირად და საროსკიპო დაწესებულებად.

როცა ვერსალის ხელშეკრულებას ამა თუ იმ მუხლს ესა თუ ის სახელმწიფო აუჯანყდებოდა, ან ამა თუ იმ მიზეზით რომელსამე მუხლს დამბლა დაეცემოდა ან კიდევ როცა რომელიმე უკმაყოფილო სახელმწიფო ერთა ლიგის სავარძელს გაექცეოდა, არა ერთი ევროპიელი დიპლომატი ოცნებას მიეცემოდა, რუსეთი რომ ვერსალის ხელშეკრულების მომხრე იყოს და ერთა ლიგის სავარძელში იჯდეს, ვერსალის ხელშეკრულების მუხლების ჩაწიხვლას ვერვინ გაბედავსო, ერთა ლიგასაც ძალა შეემატება, მისი ავტორიტეტიც გაიზრდებაო.

მართალია, რუსეთის ერთა ლიგაში მიღება ნიშნავდა ისეთი სახელმწიფოს მიღებას, რომელსაც არავითარი კონსტიტუციონალური გარანტიები არ გააჩნდა, მაგრამ ასეთ ფორმალურ მხარეს ყურადღებას ვინ მიაქცევდა, თუ მართლაც რუსეთის ერთა ლიგაში შესვლით ამ უკანასკნელს ძალა და ავტორიტეტი შეემატებოდა, ვერსალის ხელშეკრულების მუხლებს მშვიდობიანობა არ დაეკარგებოდა და თავის ფუნქციებს ნორმალურად შეასრულებდა. რუსეთის ერთა ლიგაში შეყვანის მომხრენი იმედს როდი ჰკარგავდნენ, რომ მას ადრე თუ გვიან დაიყოლიებდნენ და ვერსალის და ერთა ლიგის მომხრედ გახდიდნენ, რადგან ზოგ ვისმე კიდევ ახსოვდა, გასტონ დუმერგის აზრი, რომ რუსეთმა შესაძლოა ქამელეონობა ჩაიდინოსო. 1914 წელს დუმერგი პოლიტიკური მისიით რუსეთში გაემგზავრა და როცა დაბრუნდა, რიბო შეეკითხა: გამოვა თუ არა რამე რუსეთიდანო, ამაზე დუმერგმა უპასუხა: «ჰო, უსათუოდ გამოვა, მხოლოდ რა გამოვა, არვინ უწყისო». იმ ხანად თქმული ეს სიტყვები ნიშნავდა, რომ თუ რუსეთი დღეს მოკავშირეებთანაა, ხვალ შესაძლოა განზე გახტესო; და თუ მართლაც, დიდი ომის პროცესში რუსეთი მოკავშირეებს გადაუდგა და სეპარატული ზავით გერმანიას შეეკრა, რად არ იყო მოსალოდნელი, რომ მომავალში ვერსალის ხელშეკრულებაზე და ერთა ლიგაზე აზრს შეიცვლიდა და ამ უკანასკნელის სავარძელში არხეინად მოეწყობოდა.

ერთა ლიგის გავლენა, როგორც ითქვა, წელთა

განმავლობაში თანდათან გაიზარდა. 1930 წლამდე ის საერთაშორისო პოლიტიკის უდავო ხელმძღვანელია, ამასთანავე ერთად ის მშვიდობიანობის მებაირაღეა, ამავე ხანებში მისი პრესტიჟიც მეტად დიდია. დედა-მიწის ყველა კუთხიდან ათეულ ერთა წარმომადგენლები ლემანის ნაპირებს აწყდებოდა, თითქმის ყველა საერთაშორისო საკითხები ჟენევაში წყდებოდა, ყველა განსაკუთრებული სასოებით ერთა ლიგის პაქტს ეტანებოდა.

თუ დროგამოშვებით უზარმაზარი საერთაშორისო დაწესებულება საკმაოდ მოქნილობით და სიჩქარით ვერ მოქმედებდა, და დაბრკოლებები წინ ეღობებოდა, დაუყონებლივ ამოქმედდებოდა ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციები, ახმაურდებოდა მშვიდობიანობის დამცველი საზოგადოებანი, ამეტყველდებოდა პრესა და სხვა მის ირგვლივ მომქმედი საზოგადოებანი და ერთა ლიგაც ნორმალურ კალაპოტში დგებოდა და მოქმედებას აძლიერებდა. მშვიდობიანობის განსამტკიცებლად ომისთვის ომის გამოსაცხადებლად, ყრილობებიც იკრიბებოდა და ერთა ლიგის პაქტი ისტორიულ მოვლენად საღდებოდა.

ვერსალის ხელშეკრულება არსებითად შემდეგს ლაპარაკობდა: თვითეული ყველასათვის და ყველანი თავდამსხმელის წინაალმდეგ. ვინ შესაძლოა ყოფილიყო თავდამსხმელი? ერთად ერთი დამარცხებული გერმანია. თუ გერმანია გაექანებოდა და რომელიმე სახელმწიფოს თავს დაესხმებოდა, ვერსალის ხელშეკრულების ქსელები გარს შემოერტყმებოდა და ულმობელად გაიქაჩებოდა. გერმანიის დასაბორკავად აღმართული ვერსალის ქსელები გამარჯვებულ სახელმწიფოებმა საკმარის ქსელებად ვერ დაინახეს. გამარჯვებულებმა ევროპა მთელი რიგი კავშირებით მოჰფინეს.

1925 წელს გერმანიისვე თანხმობით და ხელმოწერით მას დამატებითი ალყა, ლოკარნოს სახით შემოარტყეს. ლოკარნოს სულის ჩამდგმელის, ბრიანის სიტყვით, ამ ხელშეკრულობით გერმანია ახალ ქსელში ეხვეოდა, რომლის ძალით ის იურიდულ ნორმებს ვერ გადაუხვევდა, ვერც ძალადობას მიმართავდა და ვერც იურიდულ პროცედურებს ულალატებდა. სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, ლოკარნო ვერსალის ხელშეკრულობის ჯენტლემენურ დამატებად ხდებოდა, მას გვერდს უმშვენებდა, აძლიერებდა და ამაგრებდა.

პატარა ავსტრიამ დიდი ომის შემდეგ დამოუკიდებლობაზე უარი განაცხადა. სენ-ჟერმენის და ვერსალის ხელშეკრულებებმა, დამოუკიდებელი იყავიო—კლემანსოს სიტყვებით უბრძანა. ავსტრიის დამოუკიდებლობის დაცვა უმთავრესად საფრანგეთმა იკისრა. რომ დამარცხებული ავსტრია გერმანიას არ შეერთებოდა ან ჰოჰეცოლერნი ტახტზე არ დაეჯინა და უნგრეთსაც, სხვა დიდ ომში დამარცხებულებთან ერთად რევანშზე არ ეფიქრა, პატარა გამარჯვებულ სახელმწიფოებმა: ჩეხოსლოვაკია-რუმინია-იუგოსლავიამ, დიდი სახელმწიფოთა დარიგებით, გავლენით და კურთხევით, ავსტრიას და უნგრეთს, მცირე ანტანტის სახით ალყა შემოარტყეს. დამარცხებულ ბულგარიასაც, რომ ერთ დროს დამარცხებულ გერმინია-უნგრეთ-ავსტრიისკენ ხელი არ გაეწვდინა, იუგოსლავია-რუმინია-თურქეთ-საბერძნეთი, ბალკანეთის ანტანტის სახელდარქმევით, გამარჯვებულ სახელმწიფოებმა დარაჯად მიუყენეს.

ამ რიგად ევროპას, ორთა, სამთა და ოთხთა კავშირები მოევლინა. გამარჯვებულებმა დამარცხებულებს ყველა გასაქანი გზები ხაფანგებით მოუფინა. ამ კავშირთა ქსელებს, გარდა ვერსალის ხელშეკრულებისა, ზევიდან ამაყად კავშირთა კავშირი—ერთა ლიგის სახით თავს დასცქეროდა.

ყოველივე ზემო თქმულის შემდეგ, ვის შეეძლო ეფიქრა, რომ ვერსალის თუ სხვა ხელშეკრულებათა მუხლები ოდესმე აკანკალდებოდა, ჩაიკეცებოდა ან მათ დამბლა დაეცემოდა, ან კიდევ მშვიდობიანობას მომავალში ხიფათი მოევლინებოდა ან რომ ერთა ლიგა მოიქანცებოდა, დასუსტდებოდა და სალაყბო დაწესებულებად გადაიქცეოდა?

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჟენევის ნაპირებზე გაისმოდა ღაღადი განუყოფელ მშვიდობიანობის, სახელმწიფოთა ურთიერთ დახმარების, კოლექტიურ უზრუნველყოფის, შორეულ აღმოსავლეთის სიღრმიდან ზარბაზანთა გუგუნი გაისმა. იწყებოდა მანჯურიის გამო, ჩინეთ იაპონიის, უკეთ რომ ვსთქვათ, რუსეთ-იაპონიის კონფლიქტი. მეფის რუსეთი იაპონიასთან ომში დამარცხებული, წყნარ ოკეანეს ნაპირებზე ვერ გაბატონდა და მთელ შორეულ აღმოსავლეთშიც პრესტიჟი დაჰკარგა. დიდი ომის შემდეგ, ძველი რუსეთის მემკვიდრე წითელი კრემლი შეეცადა, როგორც წყნარ ოკეანეს ნაპირებზე გაბატონებას, ისე მეფის რუსეთის მიერ დაკარგულ პრესტიჟის აღდგენას. ჩინეთის შინაურ ღელვამ მანჯურია უპატრონოდ დასტოვა, ამ უპატრონო მხარეს მოსკოვი დაეპატრონა, ამით იაპონიას დაუმეზობლდა და მის საარსებო ინტერესებს ემუქრებოდა. შორეულ აღმოსავლეთის ამ კუთხეში კონფლიქტი აუცილებელი შეიქნა. კონფლიქტის მოსაგვარებლად ერთა ლიგა ჩაერია, ხოლო ეს ჩარევა უშედეგო აღმოჩნდა. იაპონიამ რუსეთის გავლენა მანჯურიიდან განდევნა. იაპონიის ხელმძღვანელობით მანჯურია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. მანჯურია მანჯუკოდ მოინათლა. ახალმა სახელმწიფომ, რუსეთ-იაპონიის შუა მოქცეულმა, რუსეთი ჩინეთსაც საკმაოდ დააშორა და რუსეთს მთელი წლების მუშაობა შორეულ აღმოსავლეთში პრესტიჟის აღსადგენად და წყნარ ოკეანეზე გასაბატონებლბდ ჩაეფუშა.

შორეულ აღმოსავლეთში დასუსტებულ რუსეთმა პირი ევროპისაკენ იბრუნა და იმ სახელმწიფოს კარებს მიუკაკუნა, რომელსაც ერთ დროს განსაკუთრებული გაცოფებით თავს ესხმოდა. მოსკოვმა დაახლოვება საფრანგეთთან სცადა, ამ ცდამ უშედეგოდ არ ჩაუარა. 1932 წელს საფრანგეთ-რუსეთ შორის სამოქალაქო დაქორწინება მოხდა, და მათ შორის თავდაუსხმელობის აქტს ხელი მოაწერეს.

ი. სალაყაია.

## ვინ არის მსაჯული?

(ღია წერილი ვიტოლდ იპოჰორსკი-ლენკევიჩს)

ქმნა მართლისა სამართლისა
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.
შოთა რუსთაველი.

მეტის მეტად ვწუხარ, რომ შესაძლებლობა არ მომეცა თავის დროზე გავცნობოდი «გაზეტა პოლსკაია»-ში 31 აგვისტოსა და 1 სექტემბრის თარიღით მოთავსებულ თქვენს წერილებს: «ქართული სამსჯავრო სოციალდემოკრატებზე». როცა «დამოუკიდებელი საქართველო»-დან ეს ამბავი შევიტყვე. საჭიროდ მივიმჩნიე გავცნობოდი თქვენს ორთავ წერილს ტექსტუალურად, ხოლო მათი ყურადღებით წაკითხვის შემდგომ უნდა ვაიძულო ჩემი თავი გაუწყოთ პირადი ჩემი მოსაზრებანიც, ვითარცა რომში მობინადრე ქართველისა, რომელმაც ცოტად თუ ბევრად იცის თქვენ მიერ აწერილ გარემოებათა ასავალ-ჩასავალი.

თქვენი წერილებიდან დაუფარავად გამოსჭვივის თქვენივე დიდი სიმპატია საქართველოსადმი, რაიცა ბუნებრივი და გასაგები არის პოლონელის მხრით; გარნა რამდენადაც მართლად გაქვთ გაშუქებული ჩვენი ქვეყნის შორეული ისტორიული წარსული, იმდენად შეუსაბამოდა და შემცდარად ჰსახავთ ყველა იმას, რაც ეკუთვნის სულ ახლო გადასულ ხანას ერთის მხრით და ამჟამინდელ ბრძოლის მიმართულებასა და შინაარსს მეორის მხრით.

მე მეეჭვება, რომ გისარგებლიათ ცალმხრივი და ყალბი ნაამბობი და ამიტომაც ამისდაგვარ არგუმენტებზე აგიგიათ საქართველოსადმი მიძღვნილ წერილების მეტწილი სტრიქონები.

ეს გარემოება ასუსტებს თქვენს წრფელ განზრახვებს, ამცირებს თქვენს ნიჭიერ კალამს! მეტსაც ვიტყვი: ის ჰვნებს ქართულ საქმეს!..

დავიწყოთ იმით, რითაც თქვენ ამთავრებთ წერილს, სახელდობრ: რა მიზეზთა გამო დაიღუპა საქართველო?

ამ საგანზე წერა ქართველებს არ გვეხალისება: ტანჯვით, ვაებითა და გლოვით ვართ მასთან გადაბმულნი! ნაღველს გვისიებს თანაც ის გარემოება, რომ ხშირად ამ ტრაღიკულ ეპიზოდს ეხებიან ან საკითხის უცოდინარნი, ან ისეთები, ვის ანგარიშებშიაც შედის დამოუკიდებლობის დროის საქართველოს ჩაწიხვლა: პირველნი ასევე ხშირად ეგებიან მეორეთა ანკესზე...

თქვენდა საყურადღებოდ უნდა აღვნიშნო, რომ მე არ ვეკუთვნი ისეთს ქართველ ჯგუფს, რომელსაც საქართველოს მთავრობის საქმენი უცდომლად წარმოუდგენია...

მაგრამ იმისი რწმუნება, თითქოს საქართველო სოციალდემოკრატიულ მთავრობას დაეღუპოს, სასაცილოა! საქართველო დაიღუპა კეთილმიუთვლელ გარემოებათა თავმოყრით ისევე, როგორც მაგალითად. ეხლა ჩვენს თვალწინ არა ერთი და ორი სახელმწიფო იქცევა და იღუპება...

როცა ინგლისელებმა ბათუმი დაცალეს და ლოიდ ჯორჯმა განუცხადა ჩიჩერინს, რომ დიდ ბრიტანეთს არავითარი ინტერესი აქვს შავს ზღვაზე, ამითი უკვე აღმოისახა უდიდესი საშიშროება ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, ამიტომ იყო, რომ საქართველოს მთავრობა შეუდგა მეგობართა და მფარველთა მიმოძებნას მსგავსად ერეკლე მეფისა.

თქვენ, ბატონო, კარგა რომ მოგხსენებოდათ საქართველოს ირგვლივ შექმნილი იმჟამინდელი ვითარება, არ მოინდომებდით «კავკასიონის მწვერვალოებზე» ბაასს და არც «დარიალ-თერმოპილს» გაიხსენებდით. გარნა ის მაინც ხომ უნდა გცოდნოდათ, თუნდაც თქვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს საბუთებიდან, რომ იმ დაწყევლილ დროს, რომლის გამოუყენებლობას თქვენ უსაყვედურებთ ქართულ ხელისუფლებას, საქართველო ერთად ერთი ოაზისი იყო (დაიხსომეთ!) მთელს გასაბჭოებულ კავკასიაში, ისე რომ «თერმოპილებზე» ზრუნვა ჩვენს სარდლობას უხდებოდა ყოველმხრივ...

მართალი არ არის არც ის, თითქოს მთავრობა ფიქციებსა და ილუზიებს ეტანებოდა, თავდაცვასა და სამხედრო ძლიერებაზე კი სულაც არ ფიქრობდა. რასაკვირველია იყო ნაკლი სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ სტრუქტურაში; უფრო მეტის გაკეთება საჭირო იყო შეიარაღებულ ძალების უკეთ მოწყობასა და ორგანიზაციაში. ამაზე საქართველოში საკმარისად ბევრი ითქმოდა და იწერებოდა, და კეთილსინდისიერი ქართველი ვერც იტყვის, რომ სათანადო ორგანოები ყრუდ დაშთენილიყვნენ რჩევასა და კრიტიკაზე. ყველაფერი დროს უცდიდა, ბატონო, გარნა დრომ კი აღარ დაიცადა!.. მთავრობა იქნებ ერთს რამეში შეცდა ფატალურად: მან შესაფერისად ვერ დააფასა მოსკოველების ავაზაკური განზრახვები და ვერც ის მოუვიდა ჰაზრში, რომ ბოლშევიკებისაგან ადრე თუ გვიან ყოველგვარი სისაძაგლე მოსალოდნელი იყო. მაგრამ უკვე გვიან იყო. რუბიკონი გადილახა. საქართველო უკვე ჩაკრული იყო ზურგში მუხანათურად (აი ერთი პარადოქსი თქვენთვის: იმისდამიუხედავად, რომ საქართველოს მთავრობის დიდი უმეტესობა სოციალდემოკრატებისაგან შესდგებოდა, სახელმწიფოებთან მიმართებაში ის არასდროს ხელმძღვანელობდა ამათუიმ რეჟიმის სიმპატიათა თუ ანტიპატიით: ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია).

ეხლა ნება მიბოძეთ, მე თავად შეგეკითხოთ თქვენა, ბატონო: აღმოჩნდა დედამიწის ზურგზე ვინმე ისეთი, რომ გამოსარჩლებოდა ქვეყნად ყველასაგან იურიდულად ცნობილ ერთმუჭა ხალხს, როდესაც ის ბუმბერაზთან შეტაკებაში სისხლიდან იცლებოდა?! გამოჩნდნენ ლაფაიეტები და ბაირონები?! მოგვაწოდა ვინმემ თუნდაც ერთი დამბაჩა?! განა შავი ზღვა ღია არ იყო?! განა ბათუმში შემოცურება დიდი სახიფათო ოპერაცია იქნებოდა?!..

საქართველოს ტრაგედია აქ უნდა ვეძიოთ, მის შინაწყობილებაში ჩაუხედავად. ეს ტრაგედია გრძელდება ეხლაც გაჩუმებული ევროპის წინაშე... განა დამპყრობელთა წინაამდეგ ბრძოლა ქართველობამ შესწყვიტა?! როდესაც ემიგრაციაში მყოფმა ნაციონალურმა მთავრობამ წინასწარი პროტესტით გააფ-

რთხილა მთელი კაცობრიობა, არ შეეშვათ საბჭოთა რუსეთი უ პ ი რ ო ბ ო დ ერთა ლიგაში, ვინ შეიწუხა თავი შეჰკითხებოდა ლიტვინოვს საქართველოსათვის?! განა რომ პირში მიფურთხების მაგივრად საბჭოთა დელეგატებს ორივ ხელის ჩამორთმევით ეგებებოდნენ...

.˙.

რა შინაარსითა და მოტივებით მიემართება აწი ქართული ბრძოლა? შეიტანა მასში რაიმე ცვლილებანი ან გარდატეხანი დროთა დენამ? რას ჰფიქრობს თვით ერი იქ, საბჭოთა საპყრობილეში? აქვს თუ არა მას კავშირი ემიგრაციასთან? და თუ აქვს, არსებობენ შეთანხმების პუნქტები, ამ კავშირის დამფუძნებელნი და მისი გამმაგრებელნი? მოკლედ, გაცემული არის ერის სახელით სამოქმედო «გუჯარი»? რას მოითხოვს ის ქართველებისაგან შინ და გარედ?

აი, ბატონო ჩემო, საკითხები, რომელნიც უნდა იპყრობდნენ უცხოელების გულისყურს, უკეთუ მათ მართლაც აინტერესებთ ქართული პრობლემა! უცხოელმა—სულ ერთია, მოკეთე არის საქართველოისა, თუ მოძულე—ის უნდა იცოდეს უწინარეს ყოვლისა, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა ბოლშევიკების წინაამდეგ არავითარ შემთხვევაში არ არის ბრძოლა რეჟიმის შესხვაფერებისათვის. საქართველოს ხალხის მთავარი, ან თუ გნებავთ, ერთად ერთი მიზანი არის აღდგენა თავისი ქვეყნის სახელმწიფური სუვერენიტეტისა: ამ საწადელის შესრულებამდის ჩვენი ხალხი იმთავითვე ერიდება სხვარამ საგანს მოახმაროს და შეალიოს თვისი ენერგია. და უნდა იცოდეთ თქვენც, რომ სწორედ ასევე ესმით საკითხის მნიშვნელობა უცხო სახელმწიფოებსაც და კერძოდ იტალიას.

ჩვენდა საბედნიეროდ, იტალიის პოლიტიკის პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი უფრო შორსმჭვრეტნი არიან, ვიდრე ეს თქვენა გგონიათ, როცა უაპელაციოდა სწერთ, თითქოს იტალიას ზურგი შეებრუნებიოს ქართულ ძველ წარმომადგენლობისათვის და მიეახლოებინოს «თეთრი გიორგი»-ს დესპანნი. თავი რომ შეგეწუხებინათ და «ქართველ პრობლემაზე» ცნობები მიგეღოთ «Corriere diplomatico e Consolare»-ს იქითაც (თუნდ მაგალითად რომის «პოლონელთა ასოციაციაში»), დარწმუნებული ვარ არ მოგესურვებოდათ ზემორე დებულების ახირებული მტკიცება. საგანს—მით უმეტეს, ისეთს დელიკატურს, რასაც თქვენ შეჰხებიხართ—შესწავლა უნდა და შეთვისება ობიექტურ მასალათა საშუალებით: ნუ თუ თქვენ თვითონ არ მოგეხსენებათ, რომ საამისოდ «Corr. d. e C-re» სულაც არ ვარგა? ან ვინ გითხრათ, ბატონო, რომ ეს ორგანო «თითქმის ოფიციალურია»? თქვენ რომ ცალმხრივი ინფორმაციით არ შეგეზღუდათ თქვენი თავი და საგარეო საქმეთა სამინისტროში ამის თაობაზე «ჩხრეკილება» მოგეხდინათ, იქნებ იქ ზოგნი თქვენგან პირველადა და გაოცებით შეიტყობდნენ ასეთი «ოფიციალის» არსებობას. მაგრამ აქ ამაზე მოვჭრი სიტყვას, რადგანაც ამ ეპიზოდს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ჩემმიერ აღძრულ კითხვათა გარკვევისათვის. ერთს გარემოებაზე მაინც მივაქცევ თქვენს ყურადღებას: ბევრი ხანი არ გასულა მას შემდგომ, როცა იძულებული გავხდი, ერთი იტალიური გაზეთის საშუალებით დამეგმო «Corr. dipl. e Con.»-ის საქართველოსადმი სამტრო გამოსვლები ისეთს ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხში, როგორიც არის საქართველოს სანაპიროების ამოხაზვა სამხრეთით. თქვენ, პატივცემულო ბატონო, იმ დროს რომ აქ ყოფილიყავით, თქვენამდის უთუოდ მოაღწევდა ხმა, რომ დასახელებულ გამოცემის გაუგებარი და თავხედური კამპანია ჩემი სამშობლოის ჩასაკლავად, იტალიის პასუხისმგებელ პირთაგან სრულებით გარკვეულად დაგმობილ იქნა. ამაზე, თქმულით დავჯერდეთ... რაკი თქვენმიერ აწერილი არის, უსარგებლო არ იქნება ისიც იცოდეთ, რომ ქართულ დღესასწაულების მოწყობა, «პრინცის» მოპატიჟება და ბანკეტზე «ტოსტების» წარმოთქმა,—ყველა ეს «Corr. dipl. e Cons.»-ს და მასთან დაკავშირებულსა და დაახლოებულ პირებს უნდა გაემართათ, რომ ამითი აღეხოცათ ნალექი მათი თავდასხმისა ქართულ ანტიკომუნისტურ ცენტრზე (რედაქციასთან შეთვისებული ერთი პიროვნება დღესაც განაგრძობს ამ მხრივ «განწმენდას»: ერთს ქართულ გამოცემაში ის ეპისტოლურ დარიგებებს აწვდის ქართველ ახალგაზდობას... მახლას!).

თქვენმა წერილებმა დამარწმუნა, რომ თქვენ ზერელედ იცნობთ ქართველ პოლიტიკურ დაჯგუფებებს და არც იმაში ერკვევით, თუ რა საფუძველზე არის აგებული განმათავისუფლებელი მოძრაობის დედააზრი.

ურიგო ინფორმატორებისათვის რომ არ მიგემართათ, სულ იოლად მიჰხვდებოდით, რომ ქართული ცენტრი შემდგარი არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს განთავისუფლების მიზნით. და რადგანაც ეს ორგანო დაწესდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის უმალვე, იქ მოექცნენ ის ეროვნული ძალები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დროსაც უკვე ჩამოყალიბებულნი იყვნენ, ვითარცა პოლიტიკური პარტიები. მართალია, ერთი-ორი ჯგუფი შეიქმნა სამშობლოს გარეშე, ემიგრაციაში, ხოლო არავინ უწყის, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ქართულ პოლიტიკურ ძიებას...

თქვენც აყოლიხართ ამათ ხმას და სწერთ ემიგრაციის რაღაც «ღელვაზე» და მის მიერ სოციალდემოკრატ ბელადების გასამართლებაზე, თუმცა ეს ხელს არ გიშლით იქვე დასძინოთ, რომ ყოფილი მთავრობა ეხლა, თურმე ნუ იტყვი, სხვაგვარად ფიქრობს! არ ვიცი თქვენ როგორ შეაფასებთ ჩემს შეხედულებას, მაგრამ მე მაინც არ მოვისურვებდი, რომ ვისიმე კაპრიზისა და უკმეხობისა გამო, ცენტრის რეორგანიზაცია მომხდარიყო, იქიდან ვისიმე განდევნით, ან ვისიმე სეცესსიით. რატომ? იმიტომ, რომ ეს იქნებოდა ქართული სხეულის დაკუწმაწება! ცენტრში ყველანი თანაბრად ემსახურებიან ქართულ საქმეს, თანაბრად ასულდგმულებულნი არიან სამშობლოს ხსნისა და შვებისათვის! მის «ვივისექციასა» და დაფუშვაზე რათა ხანია ოცნებობს წითელი მოსკოვიც..

ქართველი ემიგრაციის მუშაობა ამხნობამდის სულ არ მისდევდა რეკლამურ ყვირილსა და თავის ქებას: ჩვენი ხალხური ანდაზით ამგვარ საქციელს

კიტრის ფასი აქვს! სამწუხაროდ, ამ ტრადიციას გადაუხვიეს ემიგრაციაში აღმოცენებულმა ჯგუფებმა. მათ ლოზუნგებსა და სიტყვათა ბრახუნს ვეჭვობ სარგებლობა მოჰქონდეს. ერთს ასეთს სიტყვათა ფრქვევას თქვენც გაუტაცნიხართ, როცა განმეორებით ქებას ასხამთ იმათ, ვისაც «დინასტიის რესტიტუცია» აქტიურ პრობლემად დაუსახავთ. ვერც კი გავიგე, ვინა გყავთ სახეში კონკრეტულად? თუ ემყარებით თქვენმიერ არაერთგზით ნახსენებ იტალიურ გაზეთის ცნობებს, მაშინ უნდა სახეში მიგვეღოთ ისიც, რომ მასთან დაახლოებული ქართველი ჯგუფი უფრო რესპუბლიკისაკენ იხრება, ხოლო მისი «მონათესავე» პარიზელი—გადაჭრით მეფეს მოითხოვს, მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი ნაკლებად ეუმძრახება საერთო ცენტრს!..

ამ საკითხებში გარკვევა თქვენთვის არ არის ადვილი, ეს თუმცა თქვენივე წერილებიდანა სჩანს. უნდა იცოდეთ ერთი: ქართველ ემიგრაციას წესწყობილების საკითხი ამხნობამდის არ დაუსვამს, ასე ვთქვათ, დღის წესრიგში. ემიგრაცია უნდა ემსახუროს საქართველოს განთავისუფლებას უცხო უღლისაგან და ამითი ამოიწურება მისი ფუნქციები! ქართველ ხალხს აქედან ვერავინ მოახვევს წესწყობილების ფორმებს! რესპუბლიკა იქნება, თუ მონარქია—ამას გადასწყვეტენ რეალი პირობები, რომლებიც შეიქმნებიან განთავისუფლებულ სახელმწიფოს შიგნით და უფრო კი მის გარეშე...

რაფიელ ივანიცკი-ინგილო.

რომი.

---

## იაკობ გოგებაშვილი

### ეროვნული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

### (1840—1912)

თუ ჩვენი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების ეპოქებს, 60 წლებიდან დღემდის, თავიანთი ტიპური საზოგადო მოღვაწენი და წარმომადგენლები ჰყოლია, მაგ. ილია, აკაკი, თანამედროვე ნ. ჟორდანია, არ. ჯორჯაძე და სხვანი,—ი. გოგებაშვილი მათ შორის ის ტიპური საზოგადო მოღვაწეა, რომელიც ქართველი ერის ერთ-ერთ დიდს კულტურულს პოტენციალურ ძალას ასახიერებს.

ი. გოგებაშვილის, თითქმის 50 წლის განუწყვეტელი პედაგოგიურ-პუბლიცისტური მოღვაწეობა ღირსეულ შეფასებას მოითხოვს,—შეფასებას ეროვნულ-კულტურულს, მეცნიერულს. დღევანდელ ჩვენს დაბორკილ ვითარებაში, ცხადია, ამგვარი დიდი მოთხოვნის სრულყოფას მოკლებული ვართ, ხოლო ი. გოგებაშვილის გარდაცვალების 25 წლის თავზე, მისი მოღვაწეობის დაახლოვებითს განხილვას და შეფასებას, მაინც ვკისრულობთ.

ი. გოგებაშვილის მოვლინება ჩვენს ცხოვრებაში მე-19 საუკუნის იმ პერიოდს ეკუთვნის, როს დაპყრობილი საქართველო სრულ კულტურულ და პოლიტიკურ რბევას განიცდიდა. საქართველოს დაპყრობის თანავე რუსის მთავრობა აგრესიულ გზაზე დგება და რუსიფიკატულ გეგმას ანხორციელებს. ყოველ დაწესებულებაში, სამშობლო ენის მაგივრად ხალხისათვის გაუგებარი ენა ბატონობს. ადგილობრივ პირობებსა და თავისებურებას არავითარ ყურადღებას აქცევენ. რუსულ, უცხო ენაზე სწარმოებს სამართალი და კანონი. ბეგარით დატვირთული გლეხობა ბატონ-ყმობის უღელ-ქვეშ კვნესის. ასეთ დროს, ცხადია, ქართველი ერის თავდაცვის ინსტიქტს, ბუნებას, მოწოლილ ძალის წინააღმდეგ უნდა რაიმე პროტესტანტული სახე მიეღო. და აი, მე-19 საუკუნის I-ნახევრის მიჯნაზე ბნელეთის წინაამდეგ განთიადმა ოდნავ მაინც ამოანათა. მოგვევლინენ პირველი საერო მწერლები და მოღვაწენი: დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, გ. ერისთავი. მდაბიო ხალხის ჭირი და ვაება მათმა მხატვრულმა ლიტერატურამ ასახა. რომანტიზმი რეალიზმა შესცვალა. ქართული ენა ხალხურ ენას დაუახლოვდა. ხდება სოციალური ეგოიზმის შეჯახება, ბატონ-ყმობის გადავარდნა და მე-60 წლების მოღვაწეთა საქვეყნო სარბიელზე აქტიური გამოსვლები. იწყება ბრძოლები ეროვნულ თავისუფლებისთვის, რომლის ერთ-ერთ მთავარ მებაირაღედ თავიდანვე ი. გოგებაშვილი გამოდის.

გოგებაშვილის გამოსვლა პრაქტიკულ მოღვაწეობით იწყება; სასულიერო აკადემიაში განათლება მიღებული, პირველად ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობს, საიდანაც დათხოვნილ იქმნა მოწაფეებში ლიბერალური აზრების გავრცელებისთვის. სამშობლოს სიყვარულით შემოსილი იაკობი არ დრკება; სამსახურის გარედ სახალხო განათლების საქმეს გაორკეცებული ენერგიით შეუდგება. იმ დროს ჩვენში არამც თუ წესიერად შედგენილი სახელმძღვანელო, რიგიანი ანბანიც არ არსებობდა. გოგებაშვილმა ამას მაშინვე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო. შეადგინა და გამოსცა ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი. შემდეგ, 1869 წელს,—«ბუნების კარი», ხოლო 1875 წელს «დედა-ენა», ეს ჩვენი პირველი სულიერი საზრდო სახალხო ქართულ სკოლებში. ამათ გარდა: «კოკორი», «კონა», «ხომლი» და «კუნწული». ამასთან, ქართული სკოლებისათვის რუსული სახელმძღვანელოები «რუსკოე სლოვო» პირველი და მეორე ნაწილი, მეთოდიკები მასწავლებელთათვის, «დედანი» და სხვანი. გოგებაშვილის ნიჭიერ კალამს ეკუთვნის ბევრი საისტორიო და საბელეტრისტო ნაწარმოები: «რანი ვაყავით გუშინ», «ასპინძის ომი», «ივანანამ რა ჰქმნა», «ერეკლე მეფე და ინგილო ქალი», «საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა», «ხატის მიზეზი», «პრავდა ო ტიფლისე» და სხვ. ყველა ნაწერში ავტორი მკითხველს უღვივებს გრძნობებს სამშობლოს სიყვარულისას და აშუქებს მის გულს მაღალ ზნეობრივ შეგნებისათვის. გოგებაშვილი ერთი დამაარსებელთაგანია ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების, რომლის გამგეობის წევრად 20 წლის განმავლობაში დარჩა. ენერგიული მონაწილეობა მიიღო წინამძღვარიანთ და სათავად-აზნაურო სკოლების დაარსებაში. ცნობილია, როგორც პუბლიცისტი. სწერდა სხვადასხვა საკითხებზე, კულტურულზე და პოლიტიკურზე. ქართულად და რუსუ-

ლადაც. მისი პედაგოგიურ და პუბლიცისტურ თხუზულებათა პირველი ტომი 475 გვ. დიდის ფორმატის 1910 წელს გამოიცა, სადაც ის თავგამოდებით იცავს ქართულ სკოლას, სამშობლო ენას, ქართულ ისტორიას და კულტურას—ქართველი ერის ყოველ გვარ სოციალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ საჭიროებებს... გარდაიცვალა 1912 წელს.

* * *

ქართული სახალხო განათლება, ეროვნულ სკოლის და ენის საშვალებით—ქვაკუთხედია გოგებაშვილის ხანგრძლივი მოღვაწეობის, დამყარებულის მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძვლებზე. სახალხო განათლება არის საშვალება ერის გონებრივ, ზნეობრივი და ქონებრივი განვითარების, შეგნებულ შრომის ნაყოფიერების, საერო სიმდიდრის გაფართოების. «მთელს დედამიწის ზურგზე ვერ მოსძებნით ისეთ კუთხეს, სადაც ხალხს იმაზე მეტი მომეტებული წადილი სწავლისა ჰქონდეს, როგორიც არსებობს საქართველოში: რუსს ისე არ უყვარს თავისი სანატრელი «ვოდკა», გერმანელს—ლუდი, ფრანგს—შამპანიური, იტალიელს—ოპერა, ინგლისელს—ბივშტეკი, ოსმალელს—ყავა და ჩინელს—ბანგი,—როგორც იმერთ სწყურიათ სწავლა... მაგრამ უბედურება ერის და ხალხის სწორედ ის არის, რომ ჩვენი სკოლა მოკლებულია საღს პედაგოგიურ სისტემას, რაც ხელს უწყობს გადაგვარებას, ჰბადებს სიძულვილს, ჰკლავს სიყვარულს» (გ. ნ. 45 გვ.).

* * *

დაკაწრულია ქართველი ერის სხეული, მაგრამ იგი არ სცხრება და, ვით ამირანი, კლდეს ეხეთქება დამპყრობელ რუს ყორნების წინაამდეგ. ვის არ ახსოვს ჩვენს ცხოვრებაში გამეფებული რუს-მოხელეების თარეში, იანოვსკ-ლევიცკ-ვოსტორგოვების რუსიფიკაციული პოლიტიკა და იერიშები: ქართული ენა მათ მიერ აბუჩად აგდებული, პირველდაწყებით სკოლებში ლევიცკის მუნჯური მეთოდის გამეფება, ვოსტორგოვის მიერ ქართული სკოლის დევნა, ქართულ სკოლებში თარგმნითი მეთოდის აკრძალვა, «ბუნების კარისა» და «დედა-ენის» აკრძალვის მოთხოვნა; გიმნაზიებში ქართული ენის სიმცირე და მისთვის არა სავალდებულო მე-6 გაკვეთილები; ქართველ პედაგოგების სიმცირე საშვალო სასწავლებლებში და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მათი დანიშვნის აკრძალვა; აკრძალვა აგრედვე სხვა საპასუხმგებლო ადგილებზე, საზოგადოთ, ქართველების დანიშვნის; ქართულ სკოლებში რუს მასწავლებელთა განწესება, სადაც ბავშმა და ხალხმა ერთი სიტყვაც რუსული არ იცის; აკრძალვა ქართულ წერა-კითხვის სკოლებისა საქართველოში. ამ სტრიქონების დამწერი მოწამეა ასეთი მაგალითის: კავკასიის მზრუნველი ზავადსკი ბათუმის ერთ პირველ-დაწყებით სკოლაში 8 წლის ქართველ ბავშისაგან მოითხოვს, დაიძახოს, რომ ის (ქართველი ბავში) რუსია და არა ქართველი!

მცირდება ქართველ მოსწავლეთა რიცხვი საშვალო სასწავლებლებში. 1904 წელს მაგ., რუს მოწაფეთა რიცხვი საშვალო სასწავლებლებში იყო 2600, სომხების—1900, ქართველების—1300. მოსახლეობა კი—რუსისა, ჯარებით: 200.000. სომხებისა—900.000, ქართველების—1.500.000. რა არის მაშ, ქართველ მოსწავლეთა სიმცირის მიზეზი?—კითხულობს გოგებაშვილი—შესაძლოა ცუდად სწავლობენ ქართველები და უნიჭონი არიან? სტატისტიკა იმ დროისა გვიჩვენებს შემდეგს. 1904 წ. მოსწავლეთა წარმატება სასწავლებლებში: რუსთათვის—87 პროც., ქართველებს—81 პროც., სომხების—80 პროც. მაშ, რა იყო მიზეზი ქართველ მოსწავლეთა სიმცირის? სწავლის ფულის დიდი გადასახადი, რაც ღარიბ ქართველობას არ შეეძლო და ცოტა სტიპენდიები ქართველთათვის. ქუთაისისა და ტფილისის ქართულ გიმნაზიებში სასტიკი გამოცდები და, ამგვარად, მოსწავლეთა შევიწროვება კურსდასამთავრებლად. დევნა ქართული პრესის, რომელიც ხმას აღიმაღლებდა ჩვენი ეროვნული თუ სოციალური მოთხოვნის დასაცავად. მაგ., აკრძალვა გოგებაშვილის სტატიების სამეგრელოს და სვანეთის სკოლებში ქართული ენის გაუქმების წინაამდეგ! აგრეთვე მისივე წერილის ლევიცკის მუნჯურ მეთოდის წინაამდეგ (გ. ნ. 521). 1903 წ. კავკასიის სამოსწ. მზრუნველის ცირკულიარი თავხედურად აცხადებს: სახალხო სკოლებში უმთავრესად სწავლება რუსულ ენაზე სწარმოებს 92 პროც., ხოლო სკოლები, სადაც სწავლა მხოლოდ დედა-ენაზე სწარმოებს, არ არსებობსო.

«სახალხო სკოლა არის სკოლა დედა-ენისა»—ამბობს კომენსკი. «განმანათლებელი მნიშვნელობა ჩვენი სკოლისა მოითხოვს სწავლებას დედა-ენაზე, დასძენს გოგებაშვილი—დედა-ენა სულია სკოლის, მით უნდა საზრდოობდეს, მით უნდა ვითარდებოდეს. ამასვე ამტკიცებს რუსი პედაგოგი უშინსკი. მაგრამ სამშობლო ენის შევიწროება და განდევნა ჩვენი სკოლიდან სკოლის სასიკვდილო სენია. ასეთი სკოლა ბავშვისთვის საპყრობილეა! სამშობლო ლექსი მას გულს არ უხალისებს, ლვიძლი ანდაზები და ზღაპრები მის გულს არ ხვდება, არ ავარჯიშებს, არ ასხამს ფრთებს. ენა, ლიტერატურა, არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც ჩვენი ერის მრავალ თაობას ძვირფას განძივით შეუნახავს საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონების და უმაღლესი გრძნობები გულისა! ჩვენი ერის ტერიტორიის და ლიტერატურის შესწავლით, ყოველი ქართველი მოწაფე გულით და სულით შეითვისებდა თავისს ერს და შეიქმნებოდა მისი ჭეშმარიტი სულიერი შვილი! სამშობლო ენის, სამშობლო ქვეყნის და ლიტერატურის შესწავლას ყოველ სასწავლებელში დათმობილი უნდა ჰქონდეს უპირველესი ადგილი. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა გამოკლებულია ყველა დამოუკიდებელ თავისუფალ ქვეყნის რიცხვიდან» (გ. ნ. 14).

ასე განაგრძობს ბრძოლას გოგებაშვილი რუსების მიერ დაპყრობილ საქართველოში. გადაჭრით მოითხოვს ქართული ენის კათედრის დაარსებას სასულიერო სემინარიებში, ქართულ ენაზე საკვირაო სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების, ბიბლიოთეკების და სამეურნეო სკოლების გავრცელებას სოფლებსა და ქალაქებში. სწერს წინამძღვარიანთ სკოლის პროგრამას, სადაც. 6 წლის განმავლობაში, სწავლება ყველა საგნებისა სწარმოებს სამშობლო

ენაზე და უმატებს: «დედა-ენას ბავში არ სწავლობს, როგორც უბრალო ნიშნებს და სიტყვებს, ის სწოვს სულიერ საზრდოს დედა ენის მკვებავ ძუძუდან, იგი უხსნის მას ხალხის რწმენას და მის პოეზიას ისე, როგორც ვერც ერთი ესტეტიკოსი ვერ აუხსნიდა, იგი ისეთ ნათელს ჰფენს მის მსჯელობას და ფილოსოფიურ შეხედულებას, რასაც ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ მიჰგვრიდა» (გ. 109 გვ.).

ასეთია ეროვნული სკოლის სიკეთე და დანიშნულება. «ერი უმაღლესი მცნებაა!» ამბობს გამოჩენილი გერმანელი პედაგოგი ჰარნიში: «პატრონობს ხალხი კარგ სკოლას? მაშინ, ცხადია, ის პირველი ერია!» (გერმანიის პედაგოგიკის ისტორია, ა. შორი).

საქართველო მრავალ საუკუნის განმავლობაში მარად იბრძოდა და დღესაც, დაპყრობის ხანაში, ბრძოლას განაგრძობს ეროვნული მეობის—დამოუკიდებელი ერის და სკოლის აღსადგენად. საშინლად დაცემული და დაზარალებული შოტლანდია, ეროვნულმა სახალხო სკოლამ ფეხზე წამოაყენა და განათლებულ მეზობლებზე ბევრად მაღლა ასწია ჭკუით, ზნეობით და სიმდიდრით. უეჭველია, ვამბობთ, ეროვნული დამოუკიდებელი სკოლა ჩვენში უფრო მეტად აღამაღლებდა ჩვენს ხალხს, რომელიც აუარებელმა ტანჯვა-წამებამ ვერ დასცა და გული ვერ აუცრუა მხნეობაზე და გამრჯელობასა.

* * *

გოგებაშვილის პედაგოგიკა არის უაღრესად ეროვნული, მეცნიერული! ეს არის მისი უდიდესი დამსახურება ქართული ეროვნული სკოლის წინაშე, მისი ქართული სახელმძღვანელოები: «დედა-ენა», «ბუნების კარი», რუსული «რუსკოე სლოვო» და ქართული მეთოდიკები,—დამყარებულნი არიან პედაგოგიურ-მეცნიერულ საფუძველზე, მასალა ქართულ ცხოვრებიდანაა ამოღებული და სასტიკ სისტემით დამუშავებულ-დალაგებული. წერა-კითხვის სწავლება ემყარება ხმოვან მეთოდს, რაც გოგებაშვილის მიერ ჩვენს სკოლებში პირველად იქნა შემოღებული, ევროპის მეცნიერულ პედაგოგიკის მიხედვით, წინაამდეგ ძველი სილაბიური მეთოდის.

უადგილობის გამო, არ შეგვიძლია აქ გოგებაშვილის პედაგოგიკის მეცნიერულად გარჩევა, მოვიტანთ მხოლოდ ქართული ენის და ლიტერატურის კარგი მცოდნის არტურ ლეისტის აზრს: «გოგებაშვილის პედაგოგიკა, სახელმძღვანელოები, თამამად შეიძლება შევადაროთ განათლებულ ერთა საუკეთესო სახელმძღვანელოებს» ო.

* * *

დღიდან გოგებაშვილის საზოგადო ასპარეზზე მისი გამოსვლისა იყო ძახილი: შექმნა ქართული მიმართულების, ქართული სამოქმედო გეგმის და პროგრამის, მით უმეტეს ისეთ ერისთვის, რომლის ბრძოლა არსებობისთვის მეტად გაძნელებული იყო დაპყრობისა და დამონების წყალობით.

«აქვს ჩვენს ერს პროგრამა, თუ არა? არსებობს ქართული გეგმა მოქმედებისა თუ ჩვენი ცხოვრების გზა ბინდ-ბუნდით არის მოცული!»—კითხულობს გოგებაშვილი და უპასუხებს:—«დიახ ქართველობას აქვს განსაზღვრული მიმართულება, გადაჭრილი სიმბოლო პოლიტიკური რწმენისა. რაში მდგომარეობს ეს სიმბოლო? პირველი მუხლია საქართველოს პოლიტიკური მომავალი!»—საქართველო მონობას განიცდის: «მონობა ორგვარია: წოდებათა შორის და ხალხთა შორის! საშინელია ბატონ-ყმობა ხალხთა შორის! ე. ი. ერთი ერის დაპყრობა მეორესაგან», განაგრძობს გოგებაშვილი, «ერს ყველაზე მეტად აბრკოლებს მონობა, რომელიც ერთ მხარეს მხეცად ხდის, მეორეს ნივთად. ბატონი ირყვნება, მხეცდება, მონა მიწასთან სწორდება, პროგრესი სრულიად ისპობა!» (გოგებაშვილის ნაწერ. 288 გვ.).

მაშ, როგორი უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკური მომავალი? აქ გოგებაშვილი იძლევა თავისებურ პასუხს, რათქმა უნდა, იმ დროისა და გარემოების მიხედვით, რაშიაც დაპყრობილი საქართველო იმყოფებოდა. ის ვერ მოითხოვს, ცხადია, საქართველოს აშკარა დამოუკიდებლობას და განაგრძობს: «წავიდა ხანა პაწია სამეფოების, დადგა ხანა დიდი ფედერაციების და შეერთებული შტატების!» —გოგებაშვილი ვერ მოითხოვს სეპერატიზმს, მაგრამ, ცხადია, იგი პოლიტიკური ავტონომიის მომხრეა (გოგ-ს ნაწ. 634 გვ.).

«მ ე ო რ ე  მ უ ხ ლ ი—ქართულ-პოლიტიკური სიმბოლოსი—განაგრძობს გოგებაშვილი, არის შემდეგი: გაფურჩქვნეთ, ააყვავეთ და გააძლიერეთ ყველა თქვენი ეროვნული ძალები. ჩავუკვირდეთ ამ მუხლს. უნდა გვჯეროდეს, რომ საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს: ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო! მშობლიური ტერიტორია, მიწა-წყალი, მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავს, იგი ამასთანავე ცოცხალი სულიერი არსებაა: წაართვით ერს მიწა-წყალი, მისი ტერიტორია და იგი დაკარგავს არა მხოლოდ ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ ისტორიულ სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს» (გოგ. ნაწ. 365 გვ.).

«მ ე ს ა მ ე  ბ უ რ ჯ ი ჩვენი ეროვნული აღორძინების გახლავს სამშობლო ენა: ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. საშინელ მდგომარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას პატივი და უფლება აქვს აყრილი და მას რიგიანად ველარ სწავლობს სკოლებში. ამ შემთხვევაში სუსტდება ღვიძლი ენა. სუსტი ენა ჰბადებს სუსტ აზრს, სუსტს გრძნობას, სუსტს ხასიათს და ერის ცხოვრებაში დგება ის უბედური ხანა, რომელსაც ერთმა რუსმა მწერალმა «პერიოდ მერზოსტ ი ზაპუსტენია» უწოდა. ამ უბედურს ხანას თავისს სასარგებლოდ იყენებენ მტრები და ნახევრად დამუნჯებულ, დაქვეითებულ ხალხს ხელიდან აცლიან მიწა-წყალს, დოვლათს და ყოველ ეროვნულ საუნჯეს» (გოგ. ნაწ. 366 გვ.).

«მ ე ო თ ხ ე  ბ უ რ ჯ ი ერის წარმატებისა არის სკოლა, სახალხო განათლება. რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლებიათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ცვლილება. ერი გამდიდრებულა ცოდნით, ამაღლებულა ზნეობით, აღვსილა დოვლათით. მთელი ევროპის ისტორია უტყუარი საბუთია ამისა. საქართველოში კაი ხანია გაიხსნა სახალხო სკოლები, მაგრამ ჩვენში დღევანდელი სკოლები

თითქმის უნაყოფო გამოდგა. ჩვენებური სკოლა არამც თუ ცოდნას არა ჰფენს ერში, ზნეობას არ აუკეთესებს, დანაშაულობას არ ამცირებს, არამედ რიგიან წერა-კითხვასაც ვერ ასწავლის, ვერც ქართულად და ვერც რუსულად. გოგებაშვილი განმარტავს: ჩვენმა სკოლამ ყველაფერი ანაცვალა რუსული ენის სწავლებას და ამასაც ვერ მიაღწია!—მთავარი მიზეზი ამისა—დაპყრობა და გარუსების პოლიტიკაა, რაც სავსებით ამახინჯებს საღ პედაგოგიურ პრინციპებს. სკოლა მოითხოვს, განაგრძობს გოგებაშვილი, კეთილ პედაგოგიურ პრინციპებზე მოწყობას. ამისათვის საჭიროა შემდეგი გეგმის დამყარება ქართულ სკოლებში: 1) კურსი უნდა გახდეს 4 წლიანი. 2) როგორც ყველა ერში, სწავლება ყველა საგნებისა ხდებოდეს უნდა დედა-ენაზე. 3) რუსული ენა ისწავლებოდეს, როგორც საგანი მე-2 წლიდან. სწავლა სწარმოებდეს უფასოდ. პანსიონებში ქართველებს დაეთმოს მეტი ადგილი. ახალი საშვალო და სპეციალური სასწავლებლები დაარსდეს უნდა ქალაქ გარედაც, სოფლებში და დაბებში, როგორც ეს შემოღებულია დაწინაურებულ ქვეყნებში (გოგ. ნაწერები 368 გვ.).

გოგებაშვილი ერთ დიდ როლთაგანს ანიჭებს ქართულ ეკლესიას ქვეყნის წარმატების საქმეში.—«ქართული ეკლესია დაჩაგრულია», ამბობს გოგებაშვილი—და ქართველი ერის წარმატებისთვის—მოითხოვს ავტონომიურ ქართულ ეკლესიას და სამშობლო ენაზე სადვთო სჯულის სწავლებას (გოგებ. ნაწერები 368 გვ.).

გოგებაშვილი ერის სავალალოდ სთვლიდა იმ გარემოებას, რომ «ბატონყმობა 1864 წელს გაუქმებული, დღემდის ფაქტიურად არსებობს, საწყალი ჩვენებური გლეხები დღესაც მოვალენი არიან მემამულეთ მოსავლის მეოთხედი აძლიონ, რაც მათ აუტანელ გაჭირვებაში ამყოფებთ»,—მოითხოვს, ბოლო მეღოს ამ სიბოროტეს (გ. ნ. 371 გვ.).

იგი სასტიკად ილაშქრებს იმ რუსიფიკატულ პოლიტიკის წინაამდეგ, რომლის მიზანი იყო საქართველოს დაქსაქსვა-დანაწილება და მისი არარაობად ქცევა. «უკვე გაიძახიან, სიტყვითაც და ბეჭდვითაც, ამბობს გოგებაშვილი, რომ თუშებს, მთიელებს, ფშაველებს, მეგრელებს, სვანებს, რად უნდა ვასწავლოთ საგნები ქართულ ენაზე და ქართული წიგნი, როდესაც იგინი ითველებიან ცალკე ხალხებად და თავისი საკუთარი ენა აქვთ, განცალკევებული ქართული ენიდანაო, მაგრამ არც ეს პროვინციალური ენებია სახმარებელიო, რადგანაც მათზე არ არსებობს არც წერა-კითხვა, არც ლიტერატურა და არც წირვა-ლოცვაო».—მაშ, გაუმარჯოს მუნჯურ მეთოდს ყველა საგნების სწავლებისას, ჯერ სკოლაში და შემდეგ ეკლესიაშიც»—დასძენს ირონიულად გოგებაშვილი (382 გვ.).

გოგებაშვილის უდიდესი იდეოლოგია თავისუფალი საქართველო, რისთვისაც ის იბრძვის რამდენადაც ეს ბრძოლა მაშინდელს პირობებში შეიძლებოდა. უცხო ქვეყნების ისტორიული მაგალითებით გვიმტკიცებს, თუ რას ნიშნავს ერის პოლიტიკურ-სოციალური თავისუფლება. ის სწერს ირლანდიაზე: «ირლანდიის ისტორიაში განირჩევა 2 დიდი პერიოდი. პირველია ირლანდიის დამოუკიდებლობის ხანა, მეორე კი დაპყრობის. სანამ ირლანდიას ჰქონდა დამოუკიდებელი არსებობა, მისი ერის ცხოვრება ისე ყვაოდა, როგორც მისი ღალანა კუნძული. მაგრამ, როცა სამი ირლანდიის ოდენა ინგლისი მას თავს დაესხა და დაიმორჩილა, მისი ბედი უკუღმა დატრიალდა. ამ დამორჩილების უღელმა შეაჩერა აღმაფრენა და თავისუფალი განვითარება ირლანდიის ერის გენიისა. ერი თავისუფალია და ძლიერი, თუ მისი ეკონომიური მდგომარეობა არის ძლიერი. და აი, ყველაზე მეტი ბოროტება ინგლისმა, დაპყრობის გარდა, ირლანდიას მით მიაყენა, რომ ჩამოართვა გლეხობას მთელი მამულ-დედული და დაუსაკუთრა თავისს ლორდებს, მებატონეებს. ხალხი გაღატაკდა, შემცირდა. ბევრმა გლეხმა დასტოვა ირლანდია და გადასახლდა ამერიკაში ლუკმა პურისთვის. ათი მილიონიანი ირლანდია 4 მილიონამდე შემცირდა».—ამგვარია საშინელება დღევანდელ საქართველოშიც. ვეება რუსმა დიპყრო პატარა საქართველო, ჩამოართვა ქართველ გლეხებს მიწები და გადასცა დამპყრობელ რუს ბატონს. საკუთარ მიწა-წყალს მოკლებული ქართველი ხალხი ღატაკდება და მცირდება, ფიზიკურ განადგურებას განიცდის. და გოგებაშვილი აღტაცებულია გლადსტონის ერთის ბილლით, რომლითაც ირლანდიის გლეხობას უბრუნდება საკუთრებად თავისი მიწა-წყალი. და ასე მსჯელობს—«საკუთრებას მოკლებული მშრომელი ხალხი მთელი დღე შრომობს, მაგრამ უმეტესი ნაწილი მისი შრომის ნაყოფის ჩადის მიწისა და ქარხნის მეპატრონეთა ხელში. ერთ მხარეს ღუპავს სიღატაკე და გადამეტებული შრომა, მეორეს ცუდაობა და სიმდიდრე».—და გლადსტონის ამ სოციალურ რეფორმაში ხედავს ირლანდიის ერის ბედნიერებას (75 გვ.).

ეხება რა ჩვენს ვინაობას, გოგებაშვილი კითხულობს: ვინ არის პატრიოტი?—«პატრიოტია ის,—უპასუხებს თვითონვე,—ვისაც სიცოცხლის უმთავრესს საგნად გაუხდია მშობელი ქვეყნის ბედნიერება... ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც მამულის ზრუნვისათვის არ მოუხმარია, ვინც ბედნიერია ერის ბედნიერებით, უბედურია სამშობლოს უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე» (22 გვ.).

—«ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენი პატრიოტული ნატვრისა, მიქცეული უნდა იქნას არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ. დასავლეთიდან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება და გადმოიტანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი» (24 გვ.).

მხოლოდ ეს არ კმარა,—«საჭიროა ზრუნვა ერის სოციალურ წარმატებაზე, ეკონომიურ მის განმტკიცებაზე, რადგან ეკონომიური აყვავება ქვეყნისა ხდება შეურყეველ ბურჯად მისი ეროვნული აღორძინების. ეს ორი ბოძი ხალხის ცხოვრების—ეროვნული და სოციალური—ერთმანეთს უკავშირდება, და მათი დაცალკევება, გაყრა არასდროს ხეირს არ დააყრის არც კერძო პირს, არც საზოგადოებას» (40 გვ.).

—ებრძვის რუსების ჩამოსახლებას საქართვე-

ლოში და ულმობელ ფაქტებით ააშკარავებს ამგვარ უსამართლობას.—«რუსეთის ერთ კვადრატ მილზე, სწერს გოგებაშვილი, სცხოვრობს 500 სული, მაშინ, როცა საქართველო იმავე სივრცეზე 1.000 სული სცხოვრობს».—მოჰყავს ცნობები «კვალის» თანამშრომელ მარმალაძის წერილებიდან «მეურნე და მეურნობა», რომელიც ცხადყოფს ქართველ მეურნე გლეხთა დიდ შევიწროებას. ქუთაისის გუბერნიაში ერთ კომლ მცხოვრებზე მხოლოდ 2,27 დესიატინა მიწა მოდის, ტფილისის გუბერნიაში—5,8 დესიატინა, მაშინ, როცა კავკასიის სტატისტიკით, მთავრობის ანგარიშებში,—მოსახლე გლეხს არა ნაკლებ 10 დესიატინა მიწა უნდა ჰქონოდა, რომ ოჯახის დაკმაყოფილება რამოდენიმეთ მაინც შესძლებოდა» (415).

გოგებაშვილი არ სტოვებს უყურადღებოთ არც ერთს მხარეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების. გამოთქვამს მწუხარებას, რომ ბევრი ქართველი, დროთა ვაების მიზეზით, უცხოეთში მოღვაწეობს, როცა დაცემული სამშობლო მტრის უღელს ქვეშ ნადგურდება და სხვა.

«ქართული კულტურა, ქართული ლიტერატურა, თუმცა ღარიბი არ არის, მაგრამ მაინც უდაბნოის მომცდარ ყანას ემსგავსება. ქართული მეცნიერება, რომელიც მხოლოდ ჩასახულია, შეიძლება დედის მუცელში გაწყალდეს. რა მიზეზი ამდაბლებს ჩვენში სამშობლო ლიტერატურის მოძრაობას? ქართველი ერის უნიჭობა? არა, მიუხედავად მრავალ-წელთა განმავლობაში მტრისაგან ჩვენი შევიწროების ქართველმა ერმა დაიცვა სამშობლო ტერიტორია, ენა, კულტურა. ამ დაცვისათვის საკმარისი არ იყო ვაჟკაცური მარჯვენა, ელვარე ხმალი, ბასრი ხანჯალი. ამაზე უფრო საჭირო იყო გამჭრიახი ჭკვა, შორს გამჭვრეტი გონება. რამ დააუძლურა მაშ ახალი საქართველო? ნუ თუ იმ მდგომარეობამ, რომელშიაც იგი მე 19 საუკუნის დამდეგს ჩავარდა?» კითხულობს გოგებაშვილი.

— დიახ, 120 წლის განუწყვეტელმა მონობამ, და იმავე მდგომარეობას განიცდის დღესაც ქართველი ერი დამპყრობელ რუსებისაგან!..

ჩვენ განვიხილეთ, რამოდენიმედ მაინც, გოგებაშვილის მოღვაწეობა! მოკლეა ეს განხილვა, ვამბობთ, იმ მრავალ-ფეროვან მოღვაწეობასთან შედარებით, რომელსაც გოგებაშვილი 50 წლის მანძილზე წვდებოდა! ერთი იყო ეროვნული მხარე მოღვაწეობის, რომელსაც იგი თავისს მრავალ პუბლიცისტურ ნაწერში, რუს დამპყრობელთა წინაამდეგ, ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს სწირავდა, მეორეა—პედაგოგიური მხარე, რომლითაც იგი ქართველი ერის აღზრდა-განათლებისათვის იბრძოდა!..

იაკობ გოგებაშვილი მამათმთავარია ჩვენი ეროვნული სკოლის, მისი შემქნელი და ფუძემდებელი,—დამაარსებელი ქართულ-ეროვნულ მეცნიერული პედაგოგიკის;—იგია დიდი ეროვნული მოღვაწე, რომლის დროშაზე მარადის დიდ ასოებით სწერია: «თავისუფლება ერის»!..

ბ. გელ—ა.

## გერმანული ჟურნალი პრომეთეს მოძრაობისთვის

რედაქციისაგან. ცნობილმა პროფესორმა ბარონ ფონ ფრაიტაგ-ლორინგჰოფენმა მხურვალე თანაგრძნობის წერილი უძღვნა ფრანგულ «Revue Prométhée»-ს და ჩვენ ვათავსებთ ქვევით მხოლოდ მის ბოლოს, წერილის უმცირეს ნაწილს, სადაც ავტორი ზოგ საყვედურსაც გამოსთქვამს ხსენებული ჟურნალის მიმართ. ამის მასალა ბარონისთვის მიუცია, როგორც თვითონ აცხადებს, ორ წერილს, პირველ ნომერში მოთავსებულს, და ერთის ავტორს კიდეც ასახელებს: ჩვენს მეგობარს ბრიკეს. მეორე წერილის ავტორს არ ასახელებს, მაგრამ მისი კრიტიკიდან სჩანს, რომ მხედველობაში ჰყავს ჟურნალის «ჟერანი» და თანამშრომელი ბ. ვერნერი.

ჩვენ გულდასმით გადავიკითხეთ ორივე წერილი და გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბარონის საყვედური გაუგებრობაზეა აშენებული. მართლაც, თქვენ ვერსად იპოვით იქ, თითქო გერმანიას აწერდენ უკრაინისა და კავკასიის «გაყვლეფისა და ეკონომიური დამონების» განზრახვებს. ბრიკე მხოლოდ გაკვრით აღნიშნავს სხვების მიერ გავრცელებულ აზრს, რომ «გერმანიას სურს უკრაინის კოლონიზაციაო», რაიცა თვითონ მას უსაფუძვლოდ მიაჩნია, რადგან ამ შემთხვევაში» მას (გერმანიას) უკრაინელების მტრული წინაამდეგობა დახვდებოდაო».

ბრიკეს მოხსენება «საბჭოთა ჩაგრული ერები და ერთა ლიგა», გაკეთებული შარშან წინ ბერლინში (ის პირველად გაკეთდა პარიზში და გამოიცა კავკასია-თურქესტან-უკრაინის მეგობრობის კომიტეტის მიერ), თვითონ ბარონ ფონ ფრაიტაგ-ლორინგჰოფენმა მოათავსა თავის ჟურნალ «ოიროპეიშე რევიუში» და ამიტომ ეძახის მომხსენებელს «გერმანიაშიც ძლიერ პატივცემულ ჟურნალისტს». ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი საყვედური მიმართულია განსაკუთრებით ფრანგი ვერნერისადმი.

რა ბრალსა სდებს მას? იმას, რომ ის, როგორც ბრიკე, პოლონეთსა და საბჭოთა უკრაინას «ბუნებრივ მოკავშირეებად» სთვლის: «მათ არა აქვთ წარმოდგენა იმ გარდაუვალ ისტორიულ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ წინაამდეგობაზე, რომელიც პოლონელ და უკრაინელ ერთა შორის არსებობსო». მაგრამ, თუ მარტო წარსულს დავემყარეთ და მომავალი არ გავითვალისწინეთ, ხომ იგივე შეიძლებოდა გვეთქვა გერმანია-პოლონეთის დამოკიდებულებაზე! განა ცოტა უბრძოლიათ მათ ერთმანეთთან წარსულში?

ნუ დავივიწყებთ, რომ ვერნერი სასტიკად ებრძვის იმავე წერილში საფრანგეთ-რუსეთის პაქტს და აცხადებს, რუსეთის ადგილი პოლონეთმა უნდა დაიჭიროს, თუ გვინდა წონასწორობა დამყარდეს აღმოსავლეთ ევროპაშიო. ამაზე მეტს ჭეშმარიტად ვერ მოსთხოვთ ფრანგ ჟურნალისტს!

ჩვენს გაზეთს არა ერთხელ გამოუთქვამს ეს აზრი იმ დამატებით, რომ პოლონეთ-გერმანიის მეგობრობა ხელს შეუწყობს უკანასკნელის საფრანგეთთან

დაახლოვებასთქო. და მაშინ, თავის თავად ცხადია, საბჭოთა უკრაინის, აქედან კავკასიის განთავისუფლებაც უფრო რეალურ ამოცანად იქცევა.

---

პროფ. ფ. ფრაიტაგ-ლორინგჰოვენის წერილი. «. . . მაგრამ გაუგებარია საგარეო პოლიტიკური პროგრამა, რომელსაც («პრომეთეს») მოძრაობა თავისად აცხადებს, და მისი წარმოდგენა საერთაშორისო ძალთა არსებაზე, რომელთაგანაც ის დახმარებას თუ წინაამდეგობას მოელის.

წინდაწინვე თვალში გეცემათ, რომ ახალი ჟურნალი («La Revue de Prométhée» № 1), ფრანგულ ენაზე იბეჭდება და პარიზში გამოდის. მართალია შეიძლებოდა ამ მოვლენის ახსნა იმ ფაქტიდან, რომ რუსეთის არარუს ერთა ემიგრანტებიც ომის შემდგომ პირველ წლებში საფრანგეთს მიაწყდენ, რადგან მათ ფრანგული ენა ესმოდათ და რადგანაც ისინი საფრანგეთში გამარჯვებულ ქვეყანას ხედავდენ, რომელსაც მათ სამშობლოთა ბედის კითხვაც უნდა გადაეჭრა და რომელიც კავშირის დამრღვევ საბჭოთა რუსეთს ეწინაამდეგებოდა. რასაკვირველია, შემდეგ მოხდა იმედების გაცრუება. საფრანგეთმა დაალალატიანა არა მარტო ველიკოროსი თეთრი გენერლები, არამედ უკრაინაც და ყველა სხვა იქაური ქვეყნებიც. ის თანდათან უფრო და უფრო დაუახლოვდა საბჭოთა კავშირს და ბოლოს კავშირიც შეკრა მასთან 1935 წლის 2 მაისის ურთიერთ-დახმარების პაქტით. თუმცაღა უკანასკნელ ხანებში თავს იჩენს ერთგვარი რეაქციაც ამ პოლიტიკის წინაამდეგ, მაგრამ მაინც ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ პრომეთეულ მოძრაობას არ შეეძლო საფრანგეთის დახმარების იმედი ჰქონოდა. მიუხედავად ამისა მის (ე. ი. პრომეთეულ მოძრაობის) ჟურნალში მოთავსებულია ორი წერილი, რომელნიც სრულიად უყოყმანოდ აცხადებენ საფრანგეთს მის მფარველად და იმავე დროს გამოთქვამენ ულამაზო იჭვებს გერმანიის მიმართ, რომელიც ვითომდა აპირებდეს უკრაინის და მადნეულობით მდიდარ კავკასიის ქვეყნების გაყვლეფას და ეკონომიურ დამონებას. არა აქვს აზრი აქ ამ ცილისწამებათა წინაამდეგ კამათს. საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ მათ ავტორთ, რომელთაგან ერთი სამწუხაროდ სხვამხრივ გერმანიაშიც ძლიერ პატივდებული ფრანგულ შვეიცარიის ჟურნალისტია, აშკარად ეტყობათ საქმის ვითარების სრული უცოდინარობა. ორნივე პირდაპირ აღტაცებით ოცნებობენ დამოუკიდებელი უკრაინის და პოლონეთის მომავალ კავშირზე, და როგორც ჩანს, არც ერთს არა აქვს წარმოდგენა იმ გარდაუვალ ისტორიულ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ წინაამდეგობაზე, როგორიც პოლონელ და უკრაინელ ერთა შორის არსებობს.

არ არის გასაკვირი, რომ ასეთი წერილები იწერება. საიდან უნდა იცოდენ რამე პარიზში ან ჟენევაში პოლონურ და უკრაინულ ვითარებაზე? გასაკვირია მხოლოდ, რომ ეს წერილები ამ ჟურნალში («La Revue de Prométhée»-ში) ადგილს პოულობენ. ამასთან გვაგონდება, რომ თვით მისმა გამომცემელმაც სამი წლის წინად გამოსცა წიგნი «L'Ukraine contre Moscon. 1917», რომელშიაც ის, მიუხედავად ყოველივესი. რაც 1917 წელში და მას შემდეგ მოხდა, საფრანგეთს უკრაინის მფარველად სახავდა და რომელშიაც თვით ჩეხები, მიუხედავად მათი ლეგიონების ღალატისა, მეგობრებად და მოკავშირეებად გამოყავდა. და ვხვდებით რა ხელახლა ასეთ უნაყოფო და ყალბ აზრებს, იძულებული ვართ გულწრფელი მწუხარებით დავასკვნათ, რომ ახალი პრომეთეული მოძრაობა, რარიგად მისალმების ღირსი და სიმპატიურიც არ უნდა იყოს ის თავისდათავად, თავიდანვე ყალბ კალაპოტში ჩაუყენებიათ. აყენებს რა ის თავის თავს გერმანიისადმი მტრული, საეჭვო მისწრაფებების სამსახურში და ხდება რა უსაფუძვლო ბრალდება ეჭვების მატარებელი, ის კარგავს იმათ სიმპატიებს, ვინც მისი ბუნებრივი მოკავშირეა და ვისაც მისთვის მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ვინემ სხვას. ამ გზით ის თავის მიზნებს ვერ მიაღწევს.»

## პ. პეტერსი პრ. თაყაიშვილის წიგნის შესახებ

Analecta Bollandiana-ს მე-56 ტომში დაბეჭდილია ცნობილ მკვლევარის და ქართულ სიძველეთა და ლიტერატურის კარგი მცოდნის პ. პეტერსის ვრცელი ბიბლიოგრაფია ბ. ექ. თაყაიშვილის ამას წინად გამოსულ წიგნის შესახებ (არქეოლ. ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში). ბ. პეტერსი აღნიშნავს სვანეთის გეოგრაფიულ მდგომარეობას, რის მეოხებით იქ შენახულა მრავალი განძი ქართული ქრისტიანული კულტურისა, თუმცა ღა სვანების ქრისტიანობა წარმოადგენს ქრისტიანობის და წარმართობის ნარევს. სვანეთში დაცულ ზოგიერთს ნივთს ღირსეულად შეუძლია ადგილი დაიკავოს უმდიდრეს მუზეუმშიო. სხვათა შორის, იქ აღმოჩნდა კორიდეთის ბერძნული სახარება, რომელიც ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ხელნაწერად ახალი აღთქმისა; იქ ნახეს უძველესი ხანმეტიანი ქართული პოლიმპსესტები, იქ ნაპოვნ ხელნაწერიდან გამოსცა პრ. კეკელიძემ ცნობილი ქართული ტიბიკონი იერუსალიმისა და სხ.

ავტორი ამბობს, რომ წინადაც აქცევდენ მკვლევარნი ყურადღებას სვანეთის ნაშთებს, მაგრამ მათი ნაშრომი იყო ნაწილობრივი და ეკლექტური ხასიათის; პრ. თაყაიშვილმა მოგვცა სისტემატური და სრული აღწერა სვანეთის ძეგლებისა. მან შეასრულა თავისი გამოკვლევა უდიდესი დაკვირვებით და უაღრესად მეთოდურად. მას არ დაუტოვებია განუხილველად და შეუსწავლელად არც ერთი ნივთი, რომელსაც კი რაიმე ისტორიული ღირებულება აქვს. ბ. თაყაიშვილის ექსპედიციის ერთ უდიდეს დამსახურებათაგანად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ფოტო-

გრაფიით გადმოიღო სრულიად 898 წლის ადიშის სახარება.

პრ. თაყაიშვილის გამოკვლევების მხოლოდ ზოგიერთი ნიმუში იყო აქამდის გამოქვეყნებული, მაგრამ სრული აღწერილობა, რომელსაც მან იმდენი შრომა და ენერგია შესწირა, მთელი მეოთხედი საუკ. დავიწყებაში იყო. მარტო ახლა გახდა შესაძლებელი მისი გამოცემა თვითონ მეცნიერის მხნეობისა და ერთგულ თანამემამულეთა დახმარებით, თუმცა არა ისეთი ღირსეული სახით, როგორც განზრახული ჰქონდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

## ემილ ვანდერველდე

გასული წლის 27 დეკემბერს ბრიუსელში გარდაიცვალა ცნობილი ბელგიელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ემილ ვანდერველდე. განსვენებული ბელგიის მუშათა მოძრაობის ერთი მთავარ ხელმძღვანელთაგანი და თეორეტიკოსთაგანი იყო, მაგრამ მისი მუშაობა არ იყო შემოზღუდული ვიწრო პარტიულ ფარგალით, იგი დიდი პატრიოტი იყო და ფართო მონაწილეობას იღებდა თავის სამშობლოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც მინისტრი, როგორც დეპუტატი, როგორც ჟურნალისტი. მის ნიჭს, საქმის ცოდნას და ენერგიას საყოველთაო პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული ბელგიაში და საზღვარ გარედ. მისი გარდაცვალება გულითადი მწუხარებით აღნიშნა ყველა პრესამ განურჩევლად მიმართულებისა.

ე ვანდერველდეს მოღვაწეობაში ქართველებისთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ქართული სიმპატიები და სამსახური საქართველოს უფლებებისათვის. 1919 წელს ფრიად დაუახლოვდა საქართველოს დელეგაციას პარიზში, ყოველნაირად ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის პროპაგანდას სხვა და სხვა წრეებში და მის ენერგიულს დახმარებას უნდა მიეწეროს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს დიდმა სახელმწიფოებმა ჯერ ფაქტიურად და მერე იურიდულად.

1920 წელს სხვებთან ერთად ე. ვანდერველდე ჩამოვიდა საქართველოში და იქიდან დაბრუნების შემდეგ კალმით თუ სიტყვიერად მხურვალედ იცავდა საქართველოს ინტერესებს. განსაკუთრებით 1924 წ. აჯანყების შემდეგ ის არ უშვებდა არსად შემთხვევას, რომ არ გამოსულიყო საქართველოს მოსარჩლედ და სასტიკ მებრძოლად ბოლშევიკების წინაამდეგ.

მართალია, უკანასკნელ წლებში ე. ვანდერველდემ, ცოტა არ იყოს, გამოიცვალა შეხედულება საბჭოთა რუსეთის მიმართ, მაგრამ ქართველი ერი ყოველთვის მადლობით მოიხსენიებს მის სახელს იმ მეგობრობისა და სამსახურისთვის, რომელიც გაუწია ჩვენ სამშობლოს.

## გენერალი ზაქარია ბაქრაძე

გასული წლის 28 ნოემბერს, პოლონეთში ქ. ბილგოშჩში ავტომობილი დაეტაკა გენერალ ზაქარია ბაქრაძეს; სამ დეკემბერს ის გადაიცვალა და ექვსს იქმნა დასაფლავებული ქ. ბილგოშჩის სამხედრო სასაფლაოზე. დასაფლავებას დიდძალი ქართველობა დაესწარით მთელი პოლონეთიდან, არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის მეთაურობით. დასაფლავებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის მხედრობამ და საზოგადოებამ და დასაფლავება გადაიქცა ფართო დემონსტრაციად საქართველოს სასარგებლოდ. ყველა მიმართულების პრესამაც ასეთი სახე მისცა მოთავსებულ წერილებს.

განსვენებული იყო შვილი ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსის და მკვლევარის დიმიტრი ბაქრაძისა. ახალგაზდობიდან იგი ჩაება სამხედრო სამსახურში; რუსეთ-იაპონიის ომში იქმნა დაჯილდოებული მეოთხე ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით, მხოლოდ დიდი ომის დროს იმავე ჯილდოს მესამე ხარისხით. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს ჯილდო მთელ რუსის ჯარში 1917 წ. ჰქონდა მარტო თექვსმეტ სარდალს, იოლად წარმოსადგენია, თუ რა მხედრული ნიჭი და გმირობა უნდა გამოეჩინა განსვენებულს.

მძიმედ დაჭრილი განსვენებული ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს და საქართველოში დაბრუნდა 1918 წ. გაზაფხულზე და დაუყონებლივ დაინიშნა ბრიგადის უფროსად.

1918 და 1919 წ.წ. განმავლობაში მისი ბრწყინვალე მოქმედებანი სხვადასხვა ფრონტებზე იქცევდენ ყველას ყურადღებას. ორი მისი სამხედრო ოპერაცია (რაჭაში და აჭარაში) დამუშავებულ იქმნა გენერალური შტაბის მიერ და უნდა შეტანილი ყოფილიყო საქართველოს სამხედრო სკოლების ტაქტიკურ სახელმძღვანელოში, როგორც მაგალითნი ტაქტიკურ მოქმედებისა ჩვენს პირობებში.

1919 წ. პირველ აგვისტოდან განსვენებული დაინიშნა სამხედრო სამინისტროს პირადი განყოფილების უფროსად; მისი მხედრული ნიჭი, გამოცდილება და რაინდობა იძლეოდენ გარანტიას, რომ სარდლობა სათანადოდ და შესაფერ თანამდებობაზე იქნებოდა გამოყენებული.

უკანასკნელი ომის დროს მან მიიღო მთელი რიგი სპეციალური დავალება სხვადასხვა ფრონტებზე, და როგორც ყოველთვის, ისინი ბრწყინვალედ შეასრულა.

ემიგრაციაში განსვენებული იყო უძვირესი მაგალითი ქართული რაინდობისა და მამულიშვილობისა.

ა. ზ.

## ვერა გურჯიძე

გასული წლის მიწურულში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ბერნში ვერა გურჯიძე, მეუღლე შვეიცარიაში ქართულ დიპლომატურ მისიის ყოფილ მდივნის ვლადიმერისა (1918–1920 წ.წ.). 1920 წ. დამლევს მთავრობამ მოხსნა ეს მისია. ვლადიმერი დროებით დაბრუნდა საქართველოში, ხოლო ვერა ახალ დაბადებულ ბავშით ბერნში დარჩა. საქართველო მალე ბოლშევიკებმა დაიპყრეს და ვლადიმერის შესახებ მის მეუღლეს მერე არაფერი სმენია. ღრმად დამწუხრებული ვერა, ადამიანი ფრიად განათლებული, შეუდგა ჟურნალისტობას, რათა თავი ერჩინა და ბავში აღეზარდა. ამ ახალ ასპარეზზე მან დიდი უნარი გამოიჩინა და საერთო პატივისცემაც დაიმსახურა იმ ზომად, რომ მას, უცხოელს, ისეთსავე საპასუხისმგებლო დავალებებს აძლევდენ რედაქციები, როგორც თვით შვეიცარელ მოქალაქე ჟურნალისტებს. ის ფედერალურ საკითხზე სხვათა შორის ჩვენი მეგობარი გაზეთის «ჟურნალ და ჟენევის» ინფორმატორიც იყო, რომელიც მას დიდი ნდობით უყურებდა. ვერა ტომით გერმანელი, გვარად ზელიგი, ბალტიის მხარედან იყო. რუსეთის საკითხს კარგად იცნობდა, საქართველო ძლიერ უყვარდა და ჩვენი საქმისათვის ბევრი სამსახური გაუწევია. ჩვენმა წარმომადგენელმა შავიშვილმა განსვენებულის ახალგაზდა ქალს ირინეს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა. დაობლებული 18 წლის ირინე უპატრონოდ რჩება.

## საქართველოს ამბები
(გაზეთებიდან)

შარშან შემოდგომაზე მცხეთა-სამთავროს ჩრდილოეთით ბებრის ციხისაკენ მდებარე მიდამოში საბეითლო შენობის საძირკველის ჩასაყრელად მუშაობის დროს წააწყდენ ძველს საფლავებს და იპოვნეს ორი ქვა—ერთი ბერძნული წარწერით და მეორე ებრაულით. შესდგა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც ოქტომბერში შეუდგა სისტემატურ არქეოლოგიურს გათხრებს. აღმოჩნდა დიდი სასაფლაო და აქამდე აღმოჩენილი საფლავები ეკუთვნიან ბრინჯაოს, რკინა—ბრინჯაოს და ელინისტურ—რომაულ ეპოქებს. საფლავებში იპოვნეს ფულები, სამკაულები, ჭურჭლები (ჯერჯერობით 1.400).

პროფ. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, მცხეთის გათხრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისთვის საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. გათხრები გრძელდება.

## შობის ხე ლონდონში

24 დეკემბერს გამგეობამ მოაწყო შობის ხე, ქართველ ბავშთათვის. გაწყობილი იყო სამკითხველოში, ერთი მხრით შობის ხე კარგად მორთული და მეორე მხარეზე კი ჩაი, რის შემდეგ ბავშებს დაურიგდათ თვითეულისათვის ადრევე დამზადებული საჩუქრები. აგრეთვე ადგილი ჰქონდა შეჯიბრს ლექსების წაკითხვაში და უკეთესები დასაჩუქრებულ იქმნენ წიგნებით. სამწუხაროდ მეტად ცუდი ამინდის გამო 28 ბავშში დაესწრო მხოლოდ 16.

გამგეობას განზრახული აქვს მოაწყოს კვირაში ერთხელ ქართული ენის გაკვეთილები, რომ ქართული ენა შევასწავლოთ ჩვენს მომავალ თაობას.

ი. ბ—ლი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენ გაზეთში დეკემბრის № 152, მე-15 გვერდზე არის დაბეჭდილი: პირველი ქართული კონცერტი პარიზში. მე დიდად მოხარული ვარ, რომ შემდგარა ქართული ფილარმონიული ჯგუფი, რომელსაც განზრახვა აქვს ქართული მუზიკის პროპაგანდა, მაგრამ მე მინდა მოგახსენოთ, რომ—პირველი ქართული კონცერტი პარიზში და ევროპაშიაც გავმართე მე, ჩემის ინიციატივით და რისკით 6 აპრილს 1930 წელს, პლეიელის სახლში, რომელსაც თითქმის მთელი ქართველი კოლონია დაესწრო. მე ამ ინიციატივის და პროპაგანდის ამაყი ვარ და არ მინდა, რომ ეს პირველობა ამაცალონ, ვინც უნდა იყოს! ამიტომ გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენი გამოცემის მომავალ № 153-ში ეს ჩემი წერილი და შენიშვნა.

წინათვე გმადლობთ.

პატივისცემით მიხეილ ნანობაშვილი დარიალი.

რედაქციისაგან. სრულიად მართალია ბ. ნანობაშვილი, რომ პირველი ქართული კონცერტი მან გამართა, 1930 წელს. მაგრამ ჩვენს, წინა ნუმერში მოთავსებულ შენიშვნაში ის გვქონდა სახეში, რომ დაარსდა ახალგაზდათა ფილარმონიული წრე და ის მართავს თავის პირველ კონცერტს 28 იანვარს.

დაბეჯითებით ვთხოვთ ხელის მომწერთ,
დროზე შემოიტანონ ხელის მოწერის ფასი.
ვისთვისაც დარჩენილია ძველი, მოვაგონებთ,
რომ გაასწორონ ანგარიში, მოკლე ვადაში.

გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული
უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
M-r PIRTSKALAVA
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.